ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · პარასკევი 7 დეკემბერი 2001 №234 (1507) · ფასი 50 თეთრი




REUTERS

„ეინდჰოვენი" — პაოკ. ეინდჰოვენელი ნირონ უაი მატჩის გმირი ვერა, მაგრამ ამ ლამაზი ფოტოს გმირი კი გახდა



REUTERS

„ინტერი" — „იფსვიჩი". სამი გოლის გამტანმა კრისტიან ვიერიმ „ინტერის" მაისურა დროშასავითააფრიალა

# ჩვენ ვექებთ საქართველოს

## ფეხბურთშიც ნაწილ-ნაწილ გვაქვს ის, რაც გუნდად გვინდა

UEFA
UEFA CUP

გუშინ ღამით „პსვ ეინდჰოვენს", „ფრაიბურგსა" და „მილანს" ვქომაგობდით. ქართული ფეხბურთის უბედობისა რა ვთქვათ, ჩვენს გუნდებს მუდამ ზაფხულში რომ უზამთრდებათ და ევროთასებს შემორჩენილ თითოოროლა ქართველის გამო გადამთიელთა გუნდებს ვქომაგობთ.

გუშინდელი ღამე კარგად დაიწყო: ეინდჰოვენელებს ერთი ბურთით მოგებაც ჰყოფნიდათ ბერძნული პაოკ-ის ბარიერის გადასალახავად, მაგრამ ოთხზე ნაკლები არ იკმარეს. ამათგან მეორე, მეტოქის საბოლოოდ გამტეხი, გიორგი გახოკიძემ მიითვალა, ვინაც შეუცვლელად ითამაშა.

ერთ ხანს ფრაიბურგშიც 2:0 იყო — ის ანგარიში, ჩვენებურთა გუნდს „ფეიენოორდს" რომ დააჯაბნინებდა და აქაც მეორე გოლი ქართველმა შეაგდო — ლევან კობიაშვილმა პენალტი გაიტანა. მერე კი მონასტერი აირია და უეფას თასს სამი ჩვენიანი დააკლდა. თუკი გავარდნის შემდეგ რაიმე ფასი აქვს, ალვნიშნოთ, რომ ფრაიბურგელთაგან ალექსანდრე იაშვილი მთელი თავით სჯობდა თანაგუნდელებს.

გახოკიძის გარდა ევროთასს შემორჩენილი ერთადერთი ქართველი კახა კალაძეა. შინ 2:0 მოგებული მატჩის მერე „მილანს" ლისაბონში თითქოს განსაკუთრებით არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ საპასუხო შეხვედრა ისე წარიმართა, „სპორტინგს" ბოლო წუთამდე შეეძლო ბრძოლის დამატებით დროში გადატანა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი „მილანის", შესაბამისად კი კალაძის სასიკეთოდ დასრულდა.

სხვა ამბებიც ვთქვათ. „ინტერმა" ოთხი გოლი გაუტანა „იფსვიჩს", რაც უცნაური და მოულოდნელი სულაც არ არის. აქ სხვა რამაა საინტერესო — კრისტიან ვიერიმ წინა უქმეებზე სერია A-ში გატანილ ორს სამი გოლიც მიუმატა და ომახიანად თქვა: მე დავბრუნდი!

მაგრამ ვიერის ჰეთ თრიქი რა მოსატანია სონი ანდერსონის მონაგართან. ლიონელმა ფორვარდმაც სამი გაუტანა „ბრიუგეს", მათგან მესამე ბოლო წუთზე და... ბელგიელები პატარა ბავშვებივით ტიროდნენ. პირველი მატჩი ხომ 4:1 ჰქონდათ მოგებული...

გლაზგოურმა გუნდებმა საქმე პენალტებამდე მიიყვანეს, რვა გაიტანეს და ამდენივე გაუშვეს. ოღონდ „სელტიკს" მერვედფინალში გასასვლელად ოთხი შედეგიანი პენალტი არ ეყო, „რეინჯერსისთვის" კი საკმარისი გამოდგა.

ახლა რა? ბევრიც არაფერი, ნახევარსაათიანი პროცედურა, წილისყრა რომ ჰქვია და 2001 წლის ევროსეზონიც დაიხურება. თებერვლიდან კი სამი ქართველი უეფას თასისთვის ბრძოლას გააგრძელებს. ორზე ვთქვით და მესამე შოთა არველაძეა, რომელსაც ახალი წლიდან „რეინჯერსის" საევროპო მაისურის ჩაცმის უფლება ექნება.

ეგებ, კიდევ ვინმე? თუ რომელიმე ქართველი საახალწლოდ მერვედფინალში გასული თექვსმეტი გუნდიდან ერთ-ერთში გადავა, რატომაც არა.



AP

„ფრაიბურგი" — „ფეიენოორდი". იაშვილი და მისი თვისტომ-თანაგუნდელები კობიაშვილი და ცქიტიშვილი უეფას თასს დაემშვიდობნენ

იხილეთ მეორე გვერდი

### 927 მსოფლიო ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| არგენტინა | 4,0 |
| ბრაზილია | 4,0 |
| იტალია | 5,0 |
| ინგლისი | 5,0 |
| საფრანგეთი | 6,0 |
| გერმანია | 8,0 |
| ესპანეთი | 10,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| ნიგერია | 25,0 |
| პარაგვაი | 40,0 |
| შვედეთი | 40,0 |
| კამერუნი | 40,0 |
| რუსეთი | 50,0 |
| პოლონეთი | 50,0 |
| ურუგვაი | 50,0 |
| ირლანდია | 50,0 |
| დანია | 50,0 |
| ხორვატია | 50,0 |
| ბელგია | 50,0 |
| ს. აფრიკა | 50,0 |
| მექსიკა | 50,0 |
| იაპონია | 75,0 |
| თურქეთი | 75,0 |
| ეკვადორი | 75,0 |
| სლოვენია | 100,0 |
| კორეა | 100,0 |
| აშშ | 100,0 |
| ჩინეთი | 100,0 |
| სენეგალი | 150,0 |
| ტუნისი | 150,0 |
| კოსტა რიკა | 150,0 |
| ს. არაბეთი | 250,0 |

### 928. I ადგილი ჯგუფში

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 1,2 |
| ურუგვაი | 5,0 |
| დანია | 5,0 |
| სენეგალი | 20,0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 1,4 |
| პარაგვაი | 4,0 |
| ს. აფრიკა | 8,0 |
| სლოვენია | 8,0 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 1,15 |
| თურქეთი | 5,5 |
| კოსტა რიკა | 10,0 |
| ჩინეთი | 15,0 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1,55 |
| კამერუნი | 3,8 |
| ირლანდია | 4,0 |
| ს. არაბეთი | 20,0 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არგენტინა | 1,65 |
| ინგლისი | 2,6 |
| ნიგერია | 6,0 |
| შვედეთი | 8,0 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია | 1,4 |
| ხორვატია | 5,0 |
| მექსიკა | 6,0 |
| ეკვადორი | 7,0 |

**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. 2001-02. XVI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08.12.01 | 19.00 | 047 | ნიუკასლი1:1; 1:0ჩელსი; 0:1საუთჰემპტონი **ჩარლტონი V ტოტენჰემი** ბოლტონი3:2; 1:0ვესტ ჰემი; არსენალი1:1 | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | : | 1:0 0:0 | - | 2:2 1:4 |
| 08.12.01 | 19.00 | 048 | ლივერპული0:1; 0:1ნიუკასლი; საუთჰემპტონი1:0 **დერბი V ბოლტონი** 2:3ტოტენჰემი; ფულემი0:0; 2:1იფსვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | : | - | - | - |
| 08.12.01 | 19.00 | 049 | ლიდსი0:0; 0:0ბოლტონი; ნიუკასლი3:1 **ფულემი V ევერტონი** საუთჰემპტონი2:0; 0:0ლესტერი; ჩელსი0:0 | 1,85 | 3,1 | 3,8 | | | | : | - | - | - |
| 08.12.01 | 19.00 | 050 | 2:0ასტონ ვილა; ევერტონი0:0; 0:2მანჩესტერი **ლესტერი V საუთჰემპტონი** 0:2ევერტონი; ჩარლტონი1:0; 0:1დერბი | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | | : | 1:0 0:1 | 2:1 2:1 | 2:0 1:2 |
| 08.12.01 | 19.00 | 051 | 1:0დერბი; სანდერლენდი1:0; 1:1ბლექბერნი **ლივერპული V მიდლსბრო** 1:0ბლექბერნი; იფსვიჩი0:0; 0:0ასტონ ვილა | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | : | 0:1 0:0 | 0:1 0:0 | 3:1 3:1 |
| 08.12.01 | 19.00 | 052 | ჩელსი0:3; 1:3არსენალი; ლესტერი2:0 **მანჩესტერი V ვესტ ჰემი** 0:1სანდერლენდი; ასტონ ვილა1:1; ტოტენჰემი0:1 | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | : | 2:2 3:1 | 4:2 7:1 | 0:0 4:1 |
| 09.12.01 | 17.00 | 054 | მიდლსბრო0:1; 0:0ჩელსი; ლივერპული1:1 **ბლექბერნი V ლიდსი** 0:0ფულემი; ასტონ ვილა1:1; 0:2სანდერლენდი | 2,8 | 2,9 | 2,4 | | | | - | - | - | 0:1 1:0 |
| 09.12.01 | 18.00 | 055 | ვესტ ჰემი1:0; 0:1ლივერპული; ლიდსი2:0 **სანდერლენდი V ჩელსი** 3:0მანჩესტერი; ჩარლტონი0:1; ბლექბერნი0:0 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 1:0 4:2 | 0:4 4:1 | - |
| 09.12.01 | 19.00 | 056 | არსენალი0:2; 0:0მიდლსბრო; ბოლტონი1:2 **იფსვიჩი V ნიუკასლი** 1:1ჩარლტონი; დერბი1:0; 1:3ფულემი | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | - | 1:2 1:0 | - | - |
| 09.12.01 | 20.00 | 057 | 2:0იფსვიჩი; მანჩესტერი3:1; 1:1ტოტენჰემი **არსენალი V ასტონ ვილა** ლესტერი0:2; 1:1ვესტ ჰემი; 1:1ლიდსი | 1,6 | 3,3 | 5,3 | | | | - | 1:0 0:0 | 3:1 1:1 | 2:3 1:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლივერპული (3) | | 22.12 | 1:1 | 05.03 | 1:0 | 1:3 | 23.03 | 3:1 | 23.02 | 01.01 | 06.04 | | 1:0 | : | 30.03 | 2:1 | 30.01 | 19.01 | 20.04 | 11.05 | 13 | 9 | 2 | 2 | 23:11 | 29 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 13 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 16 |
| 2 | არსენალი ლონდონი (2) | 12.01 | | 1:2 | | 06.04 | : | 26.12 | 3:1 | 11.05 | 1:1 | 3:3 | 23.02 | 30.03 | 29.12 | 2:4 | 23.03 | 4:0 | 02.02 | 05.03 | 20.04 | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | 26 | 2 | 2 | 2 | 14:11 | 8 | 5 | 3 | 0 | 16:4 | 18 |
| 3 | ლიდს იუნაიტედი (4) | 02.02 | 19.01 | | 22.12 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 30.03 | | 0:0 | 16.03 | 20.04 | 06.04 | 11.05 | 23.02 | 01.01 | 15.12 | 2:0 | 3:0 | 05.03 | 14 | 6 | 7 | 1 | 16:8 | 25 | 3 | 3 | 0 | 8:2 | 12 | 3 | 4 | 1 | 8:6 | 13 |
| 4 | ნიუკასლ იუნაიტედი (11) | 0:2 | 02.03 | 12.01 | | 0:2 | 3:0 | 29.12 | 4:3 | 30.03 | 02.02 | 15.12 | 06.04 | 1:1 | 26.12 | 20.04 | 27.04 | 1:0 | 09.02 | 1:0 | 16.03 | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 | 3 | 2 | 2 | 14:10 | 11 |
| 5 | ტოტენჰემ ჰოტსპური ლონდონი (12) | 27.04 | 1:1 | 01.04 | 30.01 | | 0:0 | 2:3 | 3:5 | 19.01 | 3:2 | 01.01 | 15.12 | 02.03 | 2:1 | 16.03 | 13.04 | 09.02 | 2:0 | 3:1 | 22.12 | 15 | 7 | 3 | 5 | 24:20 | 24 | 4 | 2 | 2 | 16:13 | 14 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| 6 | ასტონ ვილა ბირმინგემი (8) | 26.12 | 16.03 | 13.04 | 01.04 | 29.12 | | 09.02 | 1:1 | 30.01 | 3:2 | 2:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 02.03 | 0:2 | 27.04 | 12.01 | 15.12 | 15 | 6 | 6 | 3 | 19:15 | 24 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 15 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 9 |
| 7 | ჩელსი ლონდონი (6) | 15.12 | 1:1 | 30.01 | 1:1 | 23.02 | 11.05 | | 20.04 | 06.04 | 22.12 | 0:0 | 05.03 | 16.03 | 2:2 | 0:1 | 19.01 | 2:0 | 01.01 | 30.03 | 2:1 | 15 | 5 | 8 | 2 | 19:12 | 23 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 10 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 13 |
| 8 | მანჩესტერ იუნაიტედი (1) | 01.04 | 13.04 | 1:1 | 01.01 | 05.03 | 23.02 | 0:3 | | 4:1 | 1:2 | 19.01 | 3:2 | 02.02 | 23.03 | 11.05 | : | 2:0 | 22.12 | | 4:0 | 14 | 6 | 3 | 5 | 31:26 | 21 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 | 2 | 2 | 3 | 16:17 | 8 |
| 9 | ევერტონი ლივერპული (16) | 1:3 | 09.02 | 02.03 | 1:3 | 1:1 | 3:2 | 0:0 | 26.12 | | 01.04 | 27.04 | 16.03 | 12.01 | 2:0 | 29.12 | 5:0 | 13.04 | 2:0 | 15.12 | 02.02 | 14 | 5 | 5 | 4 | 20:17 | 20 | 4 | 2 | 2 | 15:9 | 14 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| 10 | ბოლტონ უონდერერსი (დ) | 2:1 | 27.04 | 26.12 | 0:4 | 20.04 | 30.03 | 12.01 | 29.01 | 2:2 | | 02.03 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 15.12 | 09.02 | 29.12 | 0:1 | 16.03 | 06.04 | 15 | 5 | 5 | 5 | 20:20 | 20 | 2 | 2 | 3 | 5:10 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | 12 |
| 11 | ბლექბერნ როვერსი (დ) | 1:1 | 30.01 | : | 23.03 | 2:1 | 05.03 | 13.04 | 2:2 | 1:0 | 1:1 | | 11.05 | 26.12 | 0:1 | 12.01 | 7:1 | 0:0 | 01.04 | 29.12 | 23.02 | 15 | 4 | 7 | 4 | 21:17 | 19 | 3 | 4 | 1 | 14:7 | 13 | 1 | 3 | 3 | 7:10 | 6 |
| 12 | ფულემი ლონდონი (დ) | 02.03 | 1:3 | 0:0 | 3:1 | 23.03 | 02.02 | 1:1 | 29.12 | : | 13.04 | 09.02 | | 2:0 | 12.01 | 26.12 | 01.04 | 27.04 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 14 | 4 | 7 | 3 | 15:13 | 19 | 3 | 4 | 1 | 10:7 | 13 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| 13 | სანდერლენდი (7) | 13.04 | 1:1 | 2:0 | 23.02 | 1:2 | 01.01 | : | 1:3 | 22.12 | 05.03 | 1:0 | 19.01 | | 29.01 | 2:2 | 1:0 | 01.04 | 23.03 | 11.05 | 1:0 | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | 19 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 | 1 | 2 | 4 | 3:7 | 5 |
| 14 | მიდლსბრო (14) | 16.03 | 0:4 | 09.02 | 1:4 | 30.03 | 06.04 | 27.04 | 15.12 | 01.01 | 19.01 | 20.04 | 22.12 | 2:0 | | 02.02 | 2:0 | 02.03 | 1:3 | 5:1 | 0:0 | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | 19 | 3 | 1 | 3 | 11:12 | 10 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| 15 | ჩარლტონ ატლეტიკი ლონდონი (9) | 0:2 | 01.04 | 0:2 | 1:1 | : | 19.01 | 02.03 | 09.02 | 1:2 | 23.03 | 22.12 | 1:1 | 27.04 | 0:0 | | 4:4 | 2:0 | 13.04 | 29.01 | 01.01 | 15 | 4 | 6 | 5 | 18:19 | 18 | 1 | 4 | 3 | 9:12 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| 16 | ვესტ ჰემ იუნაიტედი ლონდონი (15) | 29.12 | 15.12 | 0:0 | 3:0 | 0:1 | 1:1 | 2:1 | 16.03 | 05.03 | 11.05 | 02.02 | 0:2 | 20.04 | 23.02 | 06.04 | | 12.01 | 2:0 | 26.12 | 30.03 | 15 | 4 | 4 | 7 | 17:28 | 16 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 11 | 1 | 2 | 5 | 9:23 | 5 |
| 17 | ლესტერ სიტი (13) | 1:4 | 01.01 | 23.03 | 19.01 | 11.05 | 20.04 | 02.02 | 06.04 | 0:0 | 0:5 | 30.03 | 0:0 | 1:0 | 1:2 | 05.03 | 22.12 | | : | 23.02 | 1:1 | 15 | 3 | 4 | 8 | 9:25 | 13 | 1 | 3 | 3 | 4:12 | 6 | 2 | 1 | 5 | 5:13 | 7 |
| 18 | საუთჰემპტონი (10) | | 0:2 | 29.12 | 11.05 | 26.12 | 1:3 | 0:2 | 12.01 | 20.04 | 23.02 | 1:2 | 30.03 | 15.12 | 05.03 | 1:0 | 30.01 | 16.03 | | 06.04 | 3:3 | 14 | 3 | 1 | 10 | 11:24 | 10 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 | 2 | 0 | 6 | 5:12 | 6 |
| 19 | დერბი ქაუნთი (17) | 0:1 | 0:2 | 27.04 | 13.04 | 02.02 | 22.12 | 1:1 | 02.03 | 23.03 | : | 2:1 | 01.01 | 09.02 | 01.04 | 1:1 | 0:0 | 2:3 | 1:0 | | 19.01 | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | 10 | 2 | 3 | 3 | 7:9 | 9 | 0 | 1 | 5 | 3:15 | 1 |
| 20 | იფსვიჩ თაუნი (5) | 09.02 | 0:2 | 1:2 | : | 12.01 | 23.03 | 01.04 | 27.04 | 0:0 | 1:2 | 1:1 | 29.01 | 29.12 | 13.04 | 0:1 | 2:3 | 26.12 | 02.03 | 3:1 | | 15 | 1 | 6 | 8 | 14:24 | 9 | 1 | 2 | 5 | 8:12 | 5 | 0 | 4 | 3 | 6:12 | 4 |

## შვეიცარია. „ა" ჯგუფი. 2001-02. XXII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 09.12.01 | 17.30 | 253 | 5:4ბაზელი; ციურიხი0:0; 4:2ლოზანა **გრასჰოპერი V ქსამაქსი** ლუგანო1:3; 2:1აარაუ; იანგ ბოისი0:0 | 1,6 | 3,5 | 4,2 | | | | 4:1 | 6:0 3:1 | 4:0 1:0 | 1:1 2:0 |
| 09.12.01 | 17.30 | 254 | 3:1ქსამაქსი; ბაზელი1:2; 3:2ციურიხი **ლუგანო V აარაუ** იანგ ბოისი2:0; ქსამაქსი1:2; 0:1ბაზელი | 1,8 | 3,4 | 3,4 | | | | 1:3 | 2:0 1:1 | 4:1 2:0 | 0:2 0:2 |
| 09.12.01 | 17.30 | 255 | 1:1ციურიხი; ლოზანა1:3; 1:1სენტ გალენი **ლუცერნი V ბაზელი** გრასჰოპერი4:5; 2:1ლუგანო; აარაუ1:0 | 3,1 | 3,3 | 1,95 | | | | 1:4 | 4:7 0:2 | 0:2 3:0 | 0:1 4:1 |
| 09.12.01 | 17.30 | 256 | 2:2სენტ გალენი; 1:0იანგ ბოისი; სიონი2:3 **სერვეტი V ლოზანა** სიონი2:1; 3:1ლუცერნი; გრასჰოპერი2:4 | 1,45 | 3,6 | 5,6 | | | | 3:0 | 0:4 1:1 | 1:0 0:1 | 2:2 0:0 |
| 09.12.01 | 17.30 | 257 | 1:2ლოზანა; სენტ გალენი0:1; 3:2სერვეტი **სიონი V ციურიხი** ლუცერნი1:1; 0:0გრასჰოპერი; ლუგანო2:3 | 2,1 | 3,2 | 2,9 | | | | 0:0 | 3:3 3:1 | - | 0:3 0:0 |
| 09.12.01 | 17.30 | 258 | 0:2აარაუ; სერვეტი0:1; 0:0ქსამაქსი **იანგ ბოისი V სენტ გალენი** სერვეტი2:2; 1:0სიონი; ლუცერნი1:1 | 1,95 | 3,3 | 3,1 | | | | 1:4 | - | - | 1:3 0:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაზელი (5) | | 2:2 | 5:1 | 4:5 | 2:1 | 3:1 | 3:1 | 1:0 | 2:1 | 5:1 | 3:1 | 4:1 | 21 | 12 | 4 | 5 | 51:37 | 40 | 9 | 1 | 1 | 34:15 | 28 | 3 | 3 | 4 | 17:22 | 12 |
| 2 | სენტ გალენი (2) | 3:3 | | 0:1 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 4:1 | 1:1 | 3:1 | 4:3 | 3:0 | 1:1 | 21 | 9 | 8 | 4 | 38:31 | 35 | 5 | 5 | 1 | 24:13 | 20 | 4 | 3 | 3 | 14:18 | 15 |
| 3 | ლუგანო (1) | 1:2 | 1:1 | | 5:3 | 0:1 | 1:1 | 0:0 | : | 1:1 | 3:1 | 2:1 | 5:0 | 21 | 10 | 5 | 6 | 38:33 | 35 | 4 | 4 | 2 | 19:11 | 16 | 6 | 1 | 4 | 19:22 | 19 |
| 4 | გრასჰოპერი ციურიხი (3) | 1:0 | 6:1 | 2:5 | | 0:3 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | : | 1:2 | 6:0 | 21 | 10 | 4 | 7 | 46:32 | 34 | 5 | 2 | 3 | 21:12 | 17 | 5 | 2 | 4 | 25:20 | 17 |
| 5 | სიონი (7) | 8:1 | 0:1 | 5:0 | 2:1 | | 1:3 | 1:0 | 0:1 | : | 0:4 | 1:0 | 3:1 | 21 | 10 | 3 | 8 | 40:28 | 33 | 6 | 0 | 4 | 21:12 | 18 | 4 | 3 | 4 | 19:16 | 15 |
| 6 | სერვეტი ჟენევა (6) | 1:4 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 2:3 | | 3:0 | 3:3 | 0:2 | 2:0 | : | 2:0 | 21 | 9 | 6 | 6 | 35:28 | 33 | 4 | 2 | 4 | 16:15 | 14 | 5 | 4 | 2 | 19:13 | 19 |
| 7 | იანგ ბოისი ბერნი (დ) | 2:2 | : | 1:1 | 1:3 | 3:2 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 7:0 | 5:1 | 21 | 7 | 7 | 7 | 34:28 | 28 | 5 | 3 | 2 | 24:12 | 18 | 2 | 4 | 5 | 10:16 | 10 |
| 8 | აარაუ (9) | 1:1 | 0:1 | 3:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | 2:0 | | 2:3 | 1:2 | 2:0 | 3:2 | 21 | 7 | 6 | 8 | 28:24 | 27 | 5 | 3 | 3 | 18:13 | 18 | 2 | 3 | 5 | 10:11 | 9 |
| 9 | ციურიხი (8) | 2:0 | 3:2 | 2:3 | 1:3 | 0:0 | 0:3 | 0:0 | 1:0 | | 1:1 | 1:0 | 1:1 | 21 | 6 | 9 | 6 | 23:27 | 27 | 4 | 4 | 3 | 12:13 | 16 | 2 | 5 | 3 | 11:14 | 11 |
| 10 | ქსამაქსი ნოიშატელი (11) | 1:0 | 3:0 | 1:3 | 1:4 | 0:0 | 1:3 | 0:0 | 0:0 | 1:1 | | 2:1 | 4:1 | 21 | 6 | 7 | 8 | 27:32 | 25 | 4 | 4 | 3 | 14:13 | 16 | 2 | 3 | 5 | 13:19 | 9 |
| 11 | ლოზანა სპორტსი (4) | 2:4 | 1:1 | 1:2 | 2:4 | 2:1 | 0:3 | 2:3 | 0:3 | 1:1 | 1:1 | | 3:2 | 21 | 4 | 3 | 14 | 23:48 | 15 | 2 | 3 | 6 | 15:25 | 9 | 2 | 0 | 8 | 8:23 | 6 |
| 12 | ლუცერნი (12) | : | 1:3 | 1:2 | 2:1 | 2:6 | 1:1 | 0:4 | 2:1 | 3:0 | 0:0 | 1:3 | | 21 | 3 | 4 | 14 | 23:58 | 13 | 3 | 2 | 5 | 13:21 | 11 | 0 | 2 | 9 | 10:37 | 2 |

## საბერძნეთი. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. IX ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08.12.01 | 19.00 | 219 | 1:2პანათინაიკოსი; 1:0აკრატიტოსი; ოფი1:0 **არისი V პანაჰაიკი** 1:3აკრატიტოსი; აეკ0:1; 1:2პანიონიოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1,8 | 3,2 | 2,8 | : | 1:4 0:0 | 2:0 2:1 | - |
| 08.12.01 | 21.00 | 221 | აეკ0:1; 0:1არისი; 2:1პანაჰაიკი **ოფი V ოლიმპიაკოსი** ქსანთი1:1; პანათინაიკოსი2:2; 4:2ეთნიკოსი | 4,0 | 3,1 | 1,8 | | | | : | 1:2 0:5 | 2:1 0:2 | 0:3 1:2 |
| 09.12.01 | 17.00 | 222 | 1:1ოლიმპიაკოსი; 1:1იონიკოსი; პაოკ1:0 **ქსანთი V ეგალეო** 1:3პაოკ; პანიონიოსი0:1; იონიკოსი2:2 | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1,9 | 3,2 | 2,6 | - | - | - | - |
| 09.12.01 | 17.00 | 224 | 0:0ირაკლისი; 1:2პაოკ; ოლიმპიაკოსი2:4 **ეთნიკოსი V იონიკოსი** პანიონიოსი1:1; ქსანთი1:1; 2:2ეგალეო | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | 1:0 1:2 | - | 0:5 1:2 |
| 09.12.01 | 17.00 | 225 | ეთნიკოსი0:0; პანათინაიკოსი2:1; 1:4ქსანთი **ირაკლისი V აკრატიტოსი** პანაჰაიკი3:1; არისი0:1; 0:3აეკ | 1,35 | 3,5 | 7,0 | 2,0 | 3,2 | 2,3 | - | - | - | - |
| 09.12.01 | 19.00 | 227 | არისი2:1; 2:2ოლიმპიაკოსი; 1:2ირაკლისი **პანათინაიკოსი V პაოკ** ეგალეო3:1; ეთნიკოსი2:1; 0:1ქსანთი | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | - | 2:2 5:2 | 1:1 3:1 | 0:2 0:1 |
| 09.12.01 | 21.00 | 229 | 1:1იონიკოსი; 1:0ეგალეო; პანაჰაიკი2:1 **პანიონიოსი V აეკ** 1:0ოფი; 1:0პანაჰაიკი; აკრატიტოსი3:0 | 4,2 | 3,1 | 1,75 | | | | - | 1:5 2:0 | 1:0 0:2 | 1:3 0:3 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აეკ ათენი (3) | | 16.12 | : | 2:0 | | 2:0 | | | | 3:0 | | | | 4:0 | 8 | 7 | 0 | 1 | 15:3 | 21 | 4 | 0 | 0 | 11:0 | 12 | 3 | 0 | 1 | 4:3 | 9 |
| 2 | ოლიმპიაკოსი პირეოსი (1) | | | 23.12 | 2:2 | | 1:1 | 3:0 | 2:0 | | | | 5:0 | : | | 8 | 5 | 3 | 0 | 22:9 | 18 | 3 | 2 | 0 | 13:3 | 11 | 2 | 1 | 0 | 9:6 | 7 |
| 3 | არისი სალონიკი (7) | | | | | | 1:1 | 16.12 | | 1:0 | | 4:2 | 1:0 | : | | 8 | 4 | 3 | 1 | 10:6 | 15 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| 4 | პანათინაიკოსი ათენი (2) | | | 2:1 | | : | | | | 5:1 | | 23.12 | | 8:0 | : | 8 | 3 | 3 | 2 | 20:10 | 12 | 3 | 0 | 0 | 15:2 | 9 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| 5 | პაოკ სალონიკი (4) | 23.12 | 1:1 | 1:1 | | | | | 3:1 | : | | 2:1 | | | 3:1 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:10 | 12 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 6 | ქსანთი ქსანთი (8) | | | | 16.12 | 1:0 | | 4:1 | : | | | | | 2:0 | : | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 | 0 | 3 | 2 | 3:7 | 3 |
| 7 | ირაკლისი სალონიკი (5) | : | | | 2:1 | 3:1 | | | | | : | 0:0 | | | 2:0 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:10 | 11 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| 8 | პანიონიოსი პანიონიოსი (9) | : | | : | 2:2 | | | 23.12 | | 1:1 | 2:2 | | | 2:1 | | 8 | 2 | 4 | 2 | 10:12 | 10 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 6 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 9 | ოფი კრეტა (11) | 0:1 | : | | | | 23.12 | : | | | 1:0 | 2:0 | : | | | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| 10 | აკრატიტოსი (დ) | | : | 0:1 | 0:0 | : | 2:0 | | | | | | | 3:1 | 23.12 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| 11 | ეთნიკოსი პირეოსი (10) | 2:0 | 2:4 | | | | : | | 16.12 | | 2:1 | | : | | | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| 12 | იონიკოსი ნიკეა პირეასი (6) | 1:2 | | | : | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 16.12 | | | | | 8 | 0 | 5 | 3 | 7:14 | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| 13 | პანაჰაიკი პატრა (13) | 0:1 | | | | 16.12 | | : | | 1:2 | | 0:0 | 23.12 | | 5:3 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:21 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |
| 14 | ეგალეო (დ) | | 3:4 | 0:0 | | | | | 0:1 | 16.12 | | : | 2:2 | | | 8 | 0 | 2 | 6 | 9:21 | 2 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 | 0 | 0 | 4 | 4:14 | 0 |

## UEFA CUP
## უეფას თასი. მერვედფინალი

საპასუხო მატჩები. გუშინ

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)** 4:1 პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) (2:3)

1:0 ჰესელინკი (2), 2:0 ბახოპაძე (33), 3:0 ჰესელინკი (58), 3:1 დე სოუზა (89), 4:1 ვან ბომელი (90+3)

პსვ: ვატერეუსი, ბოგილუნდი, ფაბერი (ადო 90), ნიკიფოროვი, ჰეინცე, ოიერი, ლუციუსი, ბახოპაძე, რამზი (ვან ბომელი 75), რომედალი (ვაუ 90), ვენეგოორ ჰესელინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

ფრაიბურგი (გერმანია) 2:2 **ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)** (0:1)

1:0 კელი (21), 2:0 კობიაშვილი (49პენ.), 2:1 ვან ჰოიდონკი (58), 2:2 ლეონარდო (85)

ფრაიბურგი: გოლცი, მიულერი, დიარა, ჰერმელი, ზეიერი, კობიაშვილი, კელი, ცხიტიშვილი (ვილი 66), ბუტი (კულიბალი 75), იაშვილი, ტანკო (რამდანე 19)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) 1:1 **მილანი (იტალია)** (0:2)

1:0 ნიკულაე (49), 1:1 ხავი მორენო (90)

მილანი: აბიატი, კალაძე, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, კონტრა (ლაურსენი 88), ჰელვეგი, დონატი, გატუზო, რუი კოშტა (ხავი მორენო 71), შევჩენკო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

პსჟ (პარიზი, საფრანგეთი) 3:4პენ. (0:0დ.დ. 0:0) **გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)** (0:0)

**ლილი (საფრანგეთი)** 2:0 ფიორენტინა (ფლორენცია, იტალია) (1:0)

სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) 4:5პენ. (1:0დ.დ. 1:0) **ვალენსია (ესპანეთი)** (0:1)

ჰერტა (ბერლინი, გერმანია) 0:3 **სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია)** (0:0)

**ინტერი (მილანი, იტალია)** 4:1 იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) (0:1)

ლიტექსი (ლოვჩევი, ბულგარეთი) 1:1 **აეკ (ათენი, საბერძნეთი)** (2:3)

**ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)** 2:2 გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) (2:1)

ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია) 0:3 **პარმა (იტალია)** (1:1)

მალიორკა (ესპანეთი) 1:2 **ლიბერეცი (ჩეხეთი)** (1:3)

**ლიონი (საფრანგეთი)** 3:0 ბრიუგე (ბელგია) (1:4)



ინტერი — იფსვიჩი. სამგოლიანმა კრისტიან ვიერიმ ინგლისელებს არც თავი დააცალო



ლიონი — ბრიუგე. სონი ანდერსონმა საგოლედ სამჯერ მოიქნია



ჰექტორ კუპერმა რონალდო საქმემოთავებულზე ათამაშა



ჰერტა — სერვეტი. გამარჯვებულთა შვეიცარიელი ორუმა უილსონი გერმანელთა ფეხთა ხერგილს გადაევლო



სელტიკელი ჰენრიკ ლარსონის სიხარული ნაადრევი გამოდგა



ბრონდბიუ — პარმა. დანიელი რუბენ ბაგერი და მატიას ალმეიდა (მარჯვნივ)



მილანელმა ხავი მორენომ სავაშოო საქმე ქნა: 90-ზე გაათანაბრა

## კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 6 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ეფესი 68:72 მაკაბი

**B ჯგუფი**

სკაილაინერზი 80:79 კინდერი

პერისტერი 82:95 ულკერი

ლონდონ თაუერზი 58:81 ჟალგირისი

**C ჯგუფი**

კრკა 84:93 პო ორტეზი

ზადარი 88:79 ბუდუჩნოსტი

რეალი 70:78 პანათინაიკოსი

სკიპერი 97:99 ცსკა

(ძირითადი დრო 85:85)

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. A ჯგუფი

# ნანტს მიზერი მოუვიდა

**მანჩესტერი 3:0 ბოავიშტა**

1:0 ვან ნისტელროი (31), 2:0 ბლანი (55), 3:0 ვან ნისტელროი (62)
**მანჩესტერი:** ბარტეზი, ფ. ნევილი, გ. ნევილი (ოშე 77), ბლანი, სილვესტრი, ვერონი, ბათი, კინი, სქოულზი (ფორჩუნი 85), იორკი, ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 88)
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**ბოავიშტა:** რიკარდუ, ფრეშაუ, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, ერივენი, სანჩესი (პედრუ სანტუში 69), პეტი, ალეშანდრე, ჟორჟე სილვა (მარტელინიუ 60), ელპიდიუ სილვა (მარსიუ სანტუში 58), დუდა
**მწვრთნელი:** ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილებები: კინი, სქოულზი, პედრუ ემანუელი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
66 274 მაყურებელი

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** კრიტიკოსთა არმიას „ბოავიშტას“ კარში გატანილი რუუდ ვან ნისტელროის დუბლით და ლორან ბლანის თავურით უპასუხა: არც ისე დავბერავებულვართ, ზოგს რომ ჰგონია და უნდაო. ამ მოგებით „იუნაიტედი“ A ჯგუფის ლიდერად იქცა და სერ ალექს ფერგიუსონის ოპონენტებს სალაპარაკოდ მხოლოდ თოთხმეტ პრემიერლიგურ მატჩში ხუთი წაგება დარჩათ.

გოლები კი ასე გავიდა: საათის ნახევარი რომ გასრულდა, ვან ნისტელროიმ ფილ ნევილის დაბალი პასით იხეირა. მერე მცველმა ლორან ბლანმა, რომელიც პრემიერლიგის გუნდების თავდამსხმელებს დაბრიყვებული ჰყავთ, დაგვანახა, რომ მას ზოგჯერ შეტევაშიც შეუძლია სარგებლის მოტანა — ჩაკიდებული ბურთისთვის ბრძოლაში ყველაზე მაღლა ახტა. ბოლოს კი ვან ნისტელროი მეურვეებს დაუსხლტა და მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

„კმაყოფილი ვარ. რაც დავავალე, ბიჭებმა ყველაფერი კარგად შეასრულეს — თქვა ნამატჩევს ფერგიუსონმა — პირველმა გოლმა თავდაჯერებულობა შეგვმატა, მეორე ტაიმში ჩვენი თამაში უფრო გააზრებული და მეტოქისთვის სახიფათო გახდა. იმასაც შენიშნავდით, რომ ინდივიდუალური ოსტატობით ფონს გასვლას გუნდური თამაში ვამჯობინეთ. ახლა, რაკი ლიგაში შესვენებაა, მთელ ყურადღებას ინგლისის ჩემპიონატზე დავიტანთ, სადაც პოზიცია საკმაოდ შერყეული გვაქვს“.

აღვნიშნოთ, რომ მასპინძლებს ოთხშაბათს არ ჰყავდათ ფეხმტკივანი დევიდ ბექემი, რომელიც ნიკი ბათმა შეცვალა, ხოლო დუაიტ იორკი, ვინც ამ ბოლო დროს იშვიათად ჩანს მინდორზე, ენდი კოულის მტკივანი კოჭის გამო მოხვდა სასტარტოში. ასევე არ იყო უესლი ბრაუნი, რომელსაც მუხლზე რენტგენი გადაუღეს და დასკვნას ელოდება. დაცვის ცენტრში ის ფილ ნევილმა შეცვალა.

არადა, მატჩის დასაწყისში „ბოავიშტამ“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ფაბიენ ბარტეზს ელპიდიუ სილვას, დუდასა და არმანდო პეტის სახიფათო დარტყმების მოგერიება მოუხდა.

მასპინძელთაგან ხუან სებასტიან ვერონიც უნდა გამოვარჩიოთ. თუნდაც იმიტომ, რომ ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. პირველი გოლისას ნევილმა, სანამ ვან ნისტელროის ჩააწოდებდა, არგენტინელისგან მიიღო პასი, ვერონმავე დაასვა ბლანს თავზე ბურთი კუთხურიდან.

**ნანტი 0:1 ბაიერნი**

0:1 სერჟიო (65)
**ნანტი:** ლანდრო, არმანი, ფაბრი, ჟილე, ლასპალი, ბერსონი, დევინო (ოლემბე 59), ზიანი (ანდრე 80), და როშა, კუინტი, აჰამადა (მოლდოვანი 63)
**მწვრთნელი:** რეინალდ დენიო
**ბაიერნი:** ვესელსი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ნ. კოვაჩი, ჰარგრივსი (სფორცა 68), ფინკი, სერჟიო, იანკერი (ციკლერი 81), პიზარო (ელბერი 71)
**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილებები: ნ. კოვაჩი, მოლდოვანი, რ. კოვაჩი, სერჟიო
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
35 000 მაყურებელი

**თუ სახიფათო მომენტების** რაოდენობით და სიმწვავით ვიმსჯელებთ, „ნანტს“ ეს მატჩი არ უნდა წაეგო, თუმცა, მეორე მხრივ, არც „ბაიერნის“ გამარჯვებაა დაუმსახურებელი.

ჯგუფში, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ბაიერნი“ თამაშობენ, „ნანტს“ ისედაც არ ჰქონდა წარმატების დიდი შანსი, ზედიზედ ორი წაგება კი ამ შანსს სულაც მიზერულად აქცევდა. ამიტომაც ფრანგები მინდორზე უცილობლად გამარჯვებისთვის გავიდნენ. აქ სტატისტიკაც შეგვიძლია მოვიშველიოთ — გერმანულ გუნდებთან „ნანტი“ ტრადიციულად კარგად თამაშობს.

ფაქტობრივად, ნანტელთა ნახევარს შეეძლო გოლის გატანა — ჰასან აჰამადას, ფრედერიკ და როშას, სტეფან ზიანის, ვიორელ მოლდოვანს და პიერ-ივ ანდრეს შვიდ-რვა ხელსაყრელი მომენტი კი ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ. ამის მიზეზი კი ფრანგთა უზუსტო დარტყმებთან ერთად ბავარიელთა მეკარე შტეფან ვესელსისა და მთლიანად დაცვის ხაზის (განსაკუთრებით სამუელ კუფურის) საიმედო თამაში გახლდათ. როცა თავში „ბაიერნის“ გამარჯვების სამართლიანობაზე ვთქვით, სწორედ ეს ვიგულისხმეთ — მასპინძელთა იერიშებს გერმანელთა დაცვაში პანიკა არ დაუთესია და ისეთი შთაბეჭდილებაც დარჩა, სტუმრები მეტოქეს აგულიანებდნენ, მერე შტურმი რომ მოეწყოთ და გაეტეხათ.

შტეფან ვესელსი ვახსენეთ, რომელიც დაშავებული ოლივერ კანის მაგიერ ჩადგა კარში და მსოფლიოს, ალბათ, საუკეთესო მეკარეზე ნაკლებად არ გარჯილა. მოედნის შუაგულში კი ოუენ ჰარგრივსი ასევე საიმედოდ და რაც მთავარია, შედეგიანად ცვლიდა კაპიტან შტეფან ეფენბერგს. სწორედ ჰარგრივსის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა საჯარიმოს ხაზთან უმეთვალყურეოდ მიტოვებული პაულო სერჟიოს გოლი.

„ბაიერნმა“ გამოცდილების ხარჯზე გვაჯობა“ — აღიარა მატჩის შემდეგ ფრანგმა მცველმა ნიკოლა ჟილემ.

„მოდით, რეალისტები ვიყოთ — აღნიშნა „ნანტის“ კაპიტანმა მიკაელ ლანდრომ — ჩვენი უმთავრესი ამოცანა საფრანგეთის პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა, თორემ ლიგაში თითქმის უშანსოდ რომ ვართ, ლაპარაკიც არ უნდა. ესეც რომ არა, ლიგაში ხომ თებერვლამდე შესვენებაა“.


REUTERS ნანტიდან

ნანტი — ბაიერნი. სილვენ არმანმა ამჯერად კი აართვა ბურთი პაულო სერჟიოს, მაგრამ მიუნხენელმა თავისი მაინც გაიტანა

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ნანტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური. B ჯგუფი

# ოლიმპიკო კინაღამ დაინგრა: ფაბიო კაპელო დრიალებდა

**ბარსელონა 2:2 გალათასარაი**

0:1 უმით კარანი (5), 0:2 ფლურკინი (41), 1:2, 2:2 სავიოლა (49, 66)
**ბარსელონა:** ბონანო, პუიოლი, კრისტენვალი, პ. ანდერსონი, კოკუ, როჩემბაკი (ხერარდი 46), ხავი (ოვერმარსი 46), კოკუ, სავიოლა, რივალდო, კლუივერტი
**მწვრთნელი:** კარლოს რექსაჩი
**გალათასარაი:** მონდრაგონი, კაპონე, ემრე ასიქი, ჰაქან უნსალი, ბურსი, ბიულენტ ქორქმაზი, აიპანი (სუატი 51), ერგუნი, ფლურკინი, ბიულენტ აკინი (სერგენი 85), უმით კარანი
**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილებები: აიპანი, კოკუ, როჩემბაკი, ჰაქან უნსალი, ემრე ასიქი, უმით კარანი, ჰაქან უნსალი
გაძევება: კაპონე (62), ჰაქან უნსალი (90)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
65 000 მაყურებელი

**კატალონიელთა** მხსნელი ხავიერ სავიოლა შეიქნა, რომელსაც ოცი წელი ოთხ დღეში შეუსრულდება. ეგრეა, ნაქები „ბარსელონა“ ჩია და უწვერული არგენტინელის იმედზე დარჩა.

შეხვედრაში პირველი სახიფათო მომენტი თურქებმა შექმნეს და გოლსაც გამორჩნენ. ერგუნის ჩაწოდებული ბურთისთვის პატრიკ ანდერსონს დუელი უმით კარანმა მოუგო და ბონანოსაც აუღებელი დაურტყა.

პასუხისთვის პატრიკ კლუივერტმა გამოიღო თავი, მაგრამ თურქთა კოლუმბიელმა მეკარემ აჯობა. ამის მერე რივალდოს ჰქონდა შანსი, ჯერ თავური გადაავლო ხარიხას, მერე, დაახლოებით 35 მეტრიდან გასროლილი საჯარიმო ფარიდ მონდრაგონის საკბილო გახდა.

პირველ ტაიმში ვერც სავიოლამ ივარგა — კლუივერტმა ჩინებული პასით არგენტინელი კარგ პოზიციაზე გაიყვანა, თუმც ისევ მონდრაგონმა იყოჩაღა.

ჰაქან უნსალის კარგი პასის წყალობით უმითს მეორეც უნდა გაეტანა, მისი დარტყმული ბონანომ მოიგერია, თუმცა ფლურკინის დამატებულზე ვერაფერი გააწყო.

მასპინძელთა დამრიგებელს სხვა რა დარჩენოდა, მეორე ტაიმში ხერარდს და ოვერმარს უხმო. კარლოს რექსაჩის შეცვლებმა გაამართლეს, განსაკუთრებით ფეხმარდმა ჰოლანდიელმა იყოჩაღა. პირველი საპასუხო გოლი სავიოლამ ხერარდ-ოვერმარსის კომბინაციით გაახერხა.

„გალათასარაის“ სულ უფრო და უფრო უჭირდა „ბარსასთან“ გამკლავება, თურქების მდგომარეობა იმანაც გააუარესა, რომ 62-ე წუთზე კაპონე რივალდოსთან უხეშობისთვის გააძევეს.

ათკაციან „გალათასარაის“ კატალონიელებმა ოთხ წუთში გაუტანეს — ოვერმარსის ჩაწოდებული ბურთი რივალდომ მკერდით, ლამის ლარნაკით მიართვა სავიოლას და არგენტინელმა ახლოდან მეორედ დალაშქრა მონდრაგონის კარი.

„ბარსელონა“ მეტს ვერაფერს გამორჩა. ბოლო წუთებში კოკუმ, კლუივერტმა, ხერარდმა, ოვერმარსმა და რივალდომ შექმნეს ხიფათი თურქთა კართან, მაგრამ ეგ იყო და ეგ.

**რომა 0:0 ლივერპული**

**რომა:** ანტონიოლი, კანდელა, ლიმა, ალდაირი, ძებინა, სამუელი, გიგუ (ასუნსაო 46), ტომაზი (ფუზერი 79), ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ანზო, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი (ბისკანი 84), მერფი (ბერგერი 61), ჰამანი, შმიცერი (მაკალისტერი 64), ოუენი, ჰესკი
**მწვრთნელი:** ფილ ტომპსონი
გაფრთხილება: ტომაზი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
57 819 მაყურებელი

**უეფას თასის** მფლობელი „ლივერპული“ პირველ ტაიმში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა. „რომა“ დაბნეული ჩანდა და ცივი შხაპი მეორე ტაიმისთვის გადაივლო. საბოლოოდ კი რომში მეტოქენი მშვიდობით გაიყარნენ და მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ასეთ შედეგზე არც ერთ მათგანს გული არ უნდა დასწყდომოდა.

„ორივე გუნდმა დიდი ყურადღებით და სიფრთხილით ითამაშა. მეორე ტაიმი ჩვენ ჩავატარეთ უკეთ, მაგრამ უმეტესწილად სტანდარტულ სიტუაციებში. სამწუხაროდ, შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ბურთს სახიფათო ზონაში ხეირიანად ვერ ვაგდებდით“ — უხასიათოდ იყო მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რომაელთა თავკაცი ფაბიო კაპელო.

„ლივერპულის“ დამრიგებელი ფილ ტომპსონი შედარებით კმაყოფილი ჩანდა: „პირველი ტაიმი ჩვენი კარნახით წარიმართა. გაწბილებული ვარ, შესვენებამდე ორი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა. ველოდით, რომ მეორე ტაიმში „რომა“ მოუმატებდა და ასეც მოხდა. ფაბიო კაპელო ძალიან ანერვიულებული იყო — მისი ხმა ჩვენს გასახდელშიც კი ისმოდა, ვფიქრობ, მოგება შეგვეძლო, მაგრამ ფრე სამართლიანი შედეგია“.

ჯეიმი კარაგერის პასით, რომელმაც ალდაირს ოსტატურად გადაავლო ბურთი თავზე, ვლადიმირ შმიცერს უნდა ეხეირა. მან კი ბურთი ოდენ „რომას“ მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლის დაუმიზნა.

თუმც შმიცერი რა მოსატანია, როცა საგოლე მომენტები გაბრიელ ბატისტუტამ გააცუდა. „ბატისტუტას არ ვკიცხავ, ის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა ჩვენთვის“ — მიუხედავად ყველაფრისა, ფაბიო კაპელოს არგენტინელ მეგოლეზე აუგი არ დასცდენია.

რომაელებმა კარგად შებოჭეს მაიკლ ოუენი, რის გამოც ინგლისელთაგან შეტევაში უფრო ემილ ჰესკი გამოირჩა. აქტიური იყო მერსისაიდელთა მარცხენაფლანგელი რიისე, ნახევარდაცვის ცენტრს კი დიტმარ ჰამანი ამაგრებდა. კაპელოს გუნდის შუახაზი იმით მოიკოჭლებდა, რომ ჯანი გიგუმ და დამიანო ტომაზიმ ულაზათოდ ითამაშეს.

მეორე ტაიმში რომაელთაგან საუკეთესო შანსი ასუნსაოს გაუცუდდა — მისი საჯარიმო მცირედით ასცდა ირჟი დუდეკის კარს, ურიგო მომენტი არც ემერსონს ჰქონდა, როცა ფრანჩესკო ტოტის ჩაწოდებულ კუთხურს არაზუსტი თავური მიაყოლა. ძალიან კარგად ირჯებოდა ინგლისელთა გოლკიპერი ირჟი დუდეკი — ის ლიმას და ასუნსაოს დარტყმას გადაეფარა.

**დავით თაგართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |


REUTERS რომიდან

რომა — ლივერპული. მასპინძელთა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ დენი მერფის თავში წაუთაქა

# ბექჰემის სასიძომ არსენალი გადაარჩინა

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**ჩელსი 0:1 ჩარლტონი**

0:1 ლისბი (89)
**ჩელსი:** კუდიჩინი, ბაბაიარო, მელხიოტი, გალასი, ტერი, ლამპარდი, იოკანოვიჩი, დალა ბონა, ზენდენი (ძოლა 46), გუდიონსენი (ფორსელი 79), ჰასელბაინკი
**მწვრთნელი:** კლაუდიო რანიერი
**ჩარლტონი:** დ. კელი, იანგი, კ. პაუელი, ფორტუნი, ფიში (კონჩესკი 81), გ. სტიუარტი, პარკერი, იენსენი, ჯ. რობინსონი (კონჩესკი 3), ჯ. იოჰანსონი (ლისბი 64), იუელი
**მწვრთნელი:** ალან კერბიშლი
**გაფრთხილება:** დალა ბონა, ჰასელბაინკი, ფიში
**მსაჯი:** გალაჰერი
33 504 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 დაბლინი (1), 1:1 დეფო (90)
*დი კანიომ ვერ გაიტანა პენალტი (65, მეკარე)*
**ვესტ ჰემი:** ჯეიმსი, შეპლი, რეპკა, დეილი, უინტერბერნი, ტ. სინკლერი, ჰაჩისონი, კარიკი, ჯ. კოული, დი კანიო, დეფო
**მწვრთნელი:** გლენ რიოდერი
**ასტონ ვილა:** ენკელმანი, მ. დილანი (სამუელი 52), ა. რაიტი, მელბერგი, სტონტონი, ბერი, ჯ. ბოატენგი, ლ. ჰენდრი, სტოუნი, დაბლინი, მერსონი (ვასელი 68)
**მწვრთნელი:** ჯონ გრეგორი
**გაფრთხილება:** უინტერბერნი, დი კანიო, სტოუნი
**მსაჯი:** დინი
28 377 მაყურებელი

**მოგების შემთხვევაში** „ჩელსის" მეორეადგილოსან „არსენალის" დაწევა, ხოლო „ასტონ ვილას" გადასწრება შეეძლო, მაგრამ მეორეზე კვლავაც „არსენალია".

სამხრეთ-დასავლეთლონდონელები, ანუ „ჩელსის" ქომაგები, გაოგნებულნი არიან — მათი გუნდი ამარცხებს „ლიდსს" და „მანჩესტერ იუნაიტედს". სამაგიეროდ, ვერაფერს ახერხებს „ბლექბერნთან" (ორი კვირის წინ) და „ჩარლტონთან".

„უცნაური მატჩი გამოდგა — ამბობს ჩელსელთა თავკაცი კლაუდიო რანიერი — ძალიან კარგად ვითამაშეთ, შეცდომებიც, ფაქტობრივად, არ დაგვიშვია და მაინც დავმარცხდით. არადა, „მანჩესტერთან" („ჩელსიმ" 3:0 მოიგო „ოლდ ტრეფორდზე") ამაზე უკეთ არ გავრჯილვართ. უბრალოდ, „იუნაიტედი" სხვა, უფრო გახსნილ ფეხბურთს თამაშობს, რაც ამოცანას გვიადვილებს, „ჩარლტონის" მსგავსი გუნდები კი უპირველესად იმას ცდილობენ, როგორმე გოლი არ გაუშვან. მიუხედავად ამისა, მოგება მაინც შეგვეძლო, მეორე ტაიმში ოთხი ბრწყინვალე მომენტი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, მცირეოდენი უყურადღებობის გამო ვერ გავიტანეთ. ბოლოსკენ სამი თავდამსხმელითაც ვუტევდით".

გავიხსენოთ, რომ „ჩელსიმ" წინა სეზონში ორივე მატჩი დათმო „ჩარლტონთან".

„მიუხედავად არასტაბილურობისა, ჩვენ მაინც ვეცდებით, სეზონის ბოლოს ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი დავიკავოთ" — დაუმატა რანიერიმ.

„ჩვენი ფანები გაკვირვებულნი არიან — თავის მხრივ აღნიშნა ჩარლტონელთა დამრიგებელმა ალან კერბიშლიმ — სტუმრად მესამე თამაში მოვიგეთ, საკუთარ სტადიონზე კი მხოლოდ ერთი გამარჯვების ამარა ვართ". კევინ ლისბის გვიანმა თავურმა „ჩარლტონ ატლეტიკი" ბოლო ადგილს ხუთი საფეხურით ააცილა.



REUTERS ლონდონიდან
ჩელსი — ჩარლტონი. სემ დალა ბონას სტუმარი გრემ სტიუარტი წამოეპარა და ბურთიც აართვა

იმ დროს, როცა ჩელსელები ამაოდ ცდილობდნენ „ჩარლტონისთვის" გოლის გატანას, ლონდონის საპირისპირო, აღმოსავლეთ მხარეს ბირმინგემული „ასტონ ვილა" 94 წუთის განმავლობაში ამარცხებდა „ვესტ ჰემს". სტუმარმა დიონ დაბლინმა 51-ე წამზე გახსნა ანგარიში და კარგა ხანს ჯონ გრეგორის, ვილელთა მწვრთნელს, სანერვიულო არაფერი ჰქონდა.

„კარგა ხანს" 65 წუთს ნიშნავს, ანუ იმ დრომდე, სანამ „ვილას" კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ... ჯერ არ გვინახავს, თერთმეტმეტრიანი ასე სულელურად დაერტყას ვინმესო, აღნიშნავენ ინგლისელი მიმომხილველები და დი კანიოს გულისხმობენ.

მოკლედ, გრეგორიმ შვებით ამოისუნთქა და ეს ამოსუნთქვა წამატებული დროის მეხუთე წუთამდე გაგრძელდა, სანამ ჯერმენ დეფომ, ვინც იმ დღეს საუკეთესო იყო „ჩაქუჩთაგან", ბრწყინვალე გოლი არ შეაგდო. აქვე გავიხსენოთ, რომ დეფო დევიდ ბექჰემის დას ჰყვარობს.

„თავს ისე საზიზღრად ვგრძნობ, თითქოს წაგვეგოს. დღევანდელი ფრე მართლაც წაგების ტოლფასია — 94 წუთი ვიგებდით და მეორე ადგილზე გადასვლის შანსი სულელურად დავკარგეთ" — დაიჩივლა გრეგორიმ.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 13 | 9 | 2 | 2 | 23:11 | 29 |
| არსენალი | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | 26 |
| ლიდსი | 14 | 6 | 7 | 1 | 16:8 | 25 |
| ნიუკასლი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 |
| ტოტენჰემი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:20 | 24 |
| ასტონ ვილა | 15 | 6 | 6 | 3 | 19:15 | 24 |
| ჩელსი | 15 | 5 | 8 | 2 | 19:12 | 23 |
| მანჩესტერი | 14 | 6 | 3 | 5 | 31:26 | 21 |
| ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:17 | 20 |
| ბოლტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:20 | 20 |
| ბლექბერნი | 15 | 4 | 7 | 4 | 21:17 | 19 |
| ფულემი | 14 | 4 | 7 | 3 | 15:13 | 19 |
| სანდერლენდი | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | 19 |
| მიდლსბრო | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | 19 |
| ჩარლტონი | 15 | 4 | 6 | 5 | 18:19 | 18 |
| ვესტ ჰემი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:28 | 16 |
| ლესტერი | 15 | 3 | 4 | 8 | 9:25 | 13 |
| საუთჰემპტონი | 14 | 3 | 1 | 10 | 11:24 | 10 |
| დერბი ქაუნთი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | 10 |
| იფსვიჩი | 15 | 1 | 6 | 8 | 14:24 | 9 |

### ფეხბურთის



**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი მზადაა, ახალი კონტრაქტის თაობაზე კლუბთან მოლაპარაკებები დაიწყოს. 30 წლის ირლანდიელმა განაცხადა, რომ ბედნიერად გრძნობს თავს „მანჩესტერში" და თანახმაა, გააგრძელოს ამ კლუბთან კონტრაქტი. ახლანდელი ხელშეკრულების თანახმად, კინი ინგლისურ გრანდში 2003 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩენილიყო. „კლუბი მზადაა, ჩვენთან მოლაპარაკება დაიწყოს" — განაცხადა ოთხშაბათს როი კინის წარმომადგენელმა მაიკლ კენედიმ. კენედისვე თქმით, განსახილველი ძირითადად ახალი კონტრაქტის ვადა და ფეხბურთელის ხელფასი იქნება. ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებით კინი კვირაში 73 840 დოლარს იღებს.

**შოტლანდიური „რეინჯერსის" ამერიკელი ნახევარმცველი კლაუდიო რეინა ერთ-ერთია იმ სამი პრეტენდენტიდან, რომლებიც ამერიკის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელობას უმიზნებენ. ამან შესაძლოა დიდად შეუწყოს ხელი რეინას ინგლისურ პრემიერლიგაში გადასვლაში. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფეხბურთელით „სანდერლენდია" დაინტერესებული. ზემოთ ხსენებულ სამეულში რეინა 251 ამერიკელი სპორტული ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად მოხვდა. მისი კონკურენტები კი ჰოლანდიური „ბრედას" თავდამსხმელი ერნი სტიუარტი და ამეირკული „სან ხოსეს" მცველი ჯეფ აგუსი არიან.**

**პორტუგალიის** პირველი დივიზიონის კლუბ „ფარენსეს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ჟორჟე კასტელუმ ამ პოსტზე ესპანელი ალბერტო პასოსა შეცვალა, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი წინა კვირაში დაუმთავრდა. 44 წლის ჟორჟე კასტელუს 1991-94 წლებში ლისაბონის „ბენფიკაში" უმუშავია მწვრთნელის თანაშემწედ, „ფარენსეში" კი მეორე დივიზიონის „ფელგეირაშიდან" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად სატურნირო ცხრილში ცამეტი თამაშიდან 14 ქულით „ფარენსე" მეცამეტე საფეხურზეა.

**საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი როჟე ლემერი ქვეყნის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ელისეის სასახლეში მიიღო და ღირსეული ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოვების ცერემონიალს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კლოდ სიმონე, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ემე ჟაკე და დიდიე დეშანიც დაესწრნენ.**

**ინგლისური** „ლიდს იუნაიტედის" პრეზიდენტმა პიტერ რიდსდეილმა დაადასტურა, რომ კვლავ გააგრძელებს ფეხბურთელების ყიდვას, მიუხედავად იმისა, რომ ვალებმა უკვე 95 მილიონ ფუნტს გადააჭარბა. „როდესაც გვაქვს შესაძლებლობა, ვიყიდოთ სასურველი ფეხბურთელი, ვერაფერი შეგვაჩერებს. ბევრი საუბრობს დღეს „ლიდსის" ვალებზე. თუმც ჩვენ ვხარჯავთ იმდენს, რამდენის უფლებასაც საკუთარ თავს ვაძლევთ. ჩვენ ფულს ვიღებთ რეკლამიდან, ევროტურნირებიდან და მეორეხარისხოვანი ფეხბურთელების გაყიდვიდან. ასე რომ, „ლიდსს" ყოველთვის ექნება მაღალი კლასის ფეხბურთელების შესაძენი ფული" — თქვა რიდსდეილმა. ამჟამად მთავარი მწვრთნელი დევიდ ოლირი „ფეიენოორდისა" და ავსტრალიის ნაკრების წევრ ბრეტ ემერტონითაა დაინტერესებული. „უნდა ვაღიაროთ, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ორი წლის წინათ საუკეთესონი იყვნენ, ახლა ველარ შეძლებენ გუნდში თამაშს, რადგანაც ჩვენი თამაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ასე რომ, იძულებულნი ვართ, ახალი წინადადებები განვიხილოთ. თუ ორი წლის წინანდელ და დღევანდელ შემადგენლობებს შევადარებთ, ნათელი გახდება, რომ დღეს აკარად ძლიერები ვართ" — დაამატა „ლიდს იუნაიტედის" პრეზიდენტმა.

**ხორვატმა სპეციალისტმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა დაადასტურა, რომ უკრაინისა და ბოსნიის ნაკრებების მთავარ მწვრთნელად იწვევენ და მოლაპარაკებებსაც აწარმოებს. თუმც აქ ისიცაა სათქმელი, რომ ბლაჟევიჩი ჯერაც ირანის ნაკრების მესაჭეა. ამავე დროს კი ხორვატულმა გაზეთებმა გაავრცელეს ხმები, რომლის თანახმადაც ბლაჟევიჩმა შესაძლოა მარსელის „ოლიმპიკს" უხელმძღვანელოს, აღსანიშნავია, რომ ხორვატმა სპეციალისტმა ეს ინფორმაციაც დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ ფრანგულ კლუბს ამჟამად ასევე ხორვატი ტომისლავ ივიჩი თავკაცობს, რომელიც კლუბიდან წასვლას აპირებს.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ ქალაქ სოხოში მდებარე საკუთარ შტაბბინაზე დაცვა გააძლიერა. საქმე ისაა, რომ ამ ობიექტს თავს ჯერაც უცნობი ბოროტმოქმედები დაესხნენ. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ დაკარგულია ოფისის თანამშრომელთა კომპიუტერების რამდენიმე მიკროჩიპი. ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ ბოროტმოქმედებმა ვერ მიაგნეს უაღრესად საჭირო დოკუმენტებს, რაც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების დაწყების წინ უამრავ პრობლემას შეუქმნიდა ინგლისის ნაკრებს. ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ განმეორებითი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად გააძლიერეს შენობის დაცვას.

**შვეიცარიელი მცველი რაფაელ ვიკი ესპანეთის მეორე დივიზიონის „ატლეტიკოდან" გერმანულ „ჰამბურგში" გადავიდა. რაფაელ ვიკი თავისუფალი აგენტი იყო და „ჰამბურგმაც" ხელში უფასოდ ჩაიგდო. 24 წლის ფეხბურთელს გერმანიაში ადრეც უთამაშია — 1997-2001 წლებში ის ბრემენის „ვერდერის" ღირსებას იცავდა. ვიკი „ჰამბურგის" მეორე შენაძენია ამ კვირაში დანიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ კიმ კრისტიანსენის შემდეგ. კრისტიანსენი გერმანელებმა დანიური „ლიუნგბიუდან" გადაიბირეს.**


აი, ერთი დასტურიც ჯილდოს პრესტიჟულობისა: ის სვენ გორან ერიკსონმა პრინცესა ანას ხელიდან მიიღო

## ვამბობთ სპორტს, ვგულისხმობთ ფეხბურთს

**გაერთიანებული სამეფოს** სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ტრადიციული გამოკითხვა მოაწყო წლის საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენად. გალაში ფრიად საპატიო ხალხის მონაწილეობა ამ ღონისძიებას მეტ სოლიდურობას მატებს, რის ნაკლებობასაც ასოციაცია და მისი პირმშო ისედაც არ უჩივიან. წლეულს კი საუკეთესონი თავად ძველმა სპორტსმენმა, ცხენოსანმა, პრინცესა ანამ დააჯილდოვა.

დევიდ ბექჰემი წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. ეს პატივი მას უპირველესად ბერძენთათვის იმ გოლის გატანისთვის ერგო, რომელმაც ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა. მსოფლიოს ჩემპიონი მძლეოსნობაში ჯონათან ედვარდსი მეორე იყო, ხოლო მესამე ადგილი მაიკლ ოუენს ერგო.

წლის საუკეთესო სპორტული გუნდის წოდება „ლივერპულმა" ირგუნა, წინა საზონში მოგებული ხუთი თასისთვის (ინგლისის ლიგის და ასოციაციის, უეფას, ქვეყნისა და ევროპის სუპერთასები). „ჩვენი გუნდი ნამდვილად იმსახურებს ასეთ აღიარებას. მინდა, მადლობა გადავუხადო კლუბის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით კი ტექნიკურ პერსონალს" — ბრძანა მერსისაიდელთა გამოჯანმრთელებულმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ.

საუკეთესო მწვრთნელი კი სვენ გორან ერიკსონი გახდა — ბრიტანელებმა თავისიანს უცხოელი არჩიეს.

შენიშნავდით, რომ სამივე ნომინაცია ფეხბურთს დარჩა, სხვებს არაფერი უკეთებიათ?


დევიდ და ბრუკლინ ბექჰემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანური გადახვევა
## ეფენბერგმა მოგზაურობისთვის მოიცალა



შტეფან ეფენბერგმა „ბაიერნში" ყველაფერი მოიგო, ახლა „ატლეტიკოს" ჯერია?

**ეტყობა**, შტეფან ეფენბერგს ტრავმა აქეთ-იქით სიარულში ხელს სულაც არ უშლის. იგი მიუნხენიდან მადრიდში ჩაფრენილა და უკან კმაყოფილიც დაბრუნებულა.

შტეფანი მეუღლე მარტინასთან ერთად ესპანეთს დასასვენებლად ან ტრავმის მოსაშუშებლად როდი ესტუმრა. გერმანელი ფეხბურთელი მადრიდის „ატლეტიკოს" პატრონებს მიუწვევიათ. ესპანურ კლუბს ეფენბერგის გადაბირება განუზრახავს, რაზეც გუშინაც ვწერდით, და ამისთვის ფულსაც არ იშურებს.

თავად ფეხბურთელს სულაც არ აღელვებს ის ფაქტი, რომ „ატლეტიკო" ამჟამად მეორე დივიზიონის ბინადარია. „მე კიდევ მაქვს საკმარისი დრო საიმისოდ, რომ მადრიდელთა წინადადება განვიხილო. „ატლეტიკო" უძველესი ტრადიციების გუნდია, ხოლო მადრიდი — შესანიშნავი ქალაქი" — ბრძანა მიუნხენის „ბაიერნის" გამთამაშებელმა. იმასაც იტყობინებიან, ესპანელები მას ორწლიან კონტრაქტს, ხოლო გერმანულ კლუბს დაახლოებით ათ მილიონ მარკას სთავაზობენო.

„ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა კაპიტნის შესაძლო წასვლაზე თქვა: „შტეფანს შეუძლია, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საფეხბურთო ლიგაში ითამაშოს, ხოლო ესპანეთში იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს". ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ კი, ამის შესახებ არაფერი მსმენიაო, თქვა.

შეგახსენებთ, რომ ეფენბერგს კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება. ადრე ფეხბურთელი თითქოს ამერიკაში გამგზავრებას და კარიერის იქ დასრულებას აპირებდა. მისი მეუღლე-მენეჯერიც ამბობს, ოკეანის გაღმა გამგზავრება და ამერიკაში ცხოვრება ადრევე დავგეგმეთო.

მანამდე კი ეფენბერგებს, ალბათ, ესპანეთი ელით.

**ვაჟა ხუციშვილი**



„არსენალთან" მატჩში ედგარ დავიდსი ტურინელთაგან საუკეთესო იყო

# ნაპა, არ ნაპა...
## დავიდსი ლიპის შემოსწყრა

**ტურინის** „იუვენტუსის" მწვრთნელი მარჩელო ლიპი „გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ გააკვირვა. ამ პოპულარული გაზეთის გვერდიდან „ბებერი ქალბატონის" 28 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი თავის მწვრთნელს ემუქრება, თუ ძირითადში რეგულარულად არ მათამაშებ, კლუბიდან წასვლაზე ვიფიქრებო.

ნანდროლონის ხმარებაში მხილებული და დისკვალიფიკაციამოხდილი დავიდსი ლიპის ჩემპიონთა ლიგაში ლონდონის „არსენალთან" მატჩის წინ გაებუტა, როცა მწვრთნელმა „პიტბული" სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. თამაშის დაწყებიდან 20 წუთში ლიპიმ დავიდსი დაშავებულ იგორ ტუდორის ნაცვლად კი შეუშვა, მაგრამ ამას ჰოლანდიელისთვის შვება არ მოუგვრია. ნამატჩევს დავიდსმა „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს სწორედ ეს უთხრა: „სათადარიგოთა სკამს ჩვეული არ ვარ. თუ თავიდანვე არ მათამაშებენ, კლუბიდან წასვლაზე ვიფიქრებ. დარწმუნებული ვარ, ჩემი მსურველი კლუბი ჯერ კიდევ ბევრია. ლიპიზე გაბრაზებული ვარ? თან კი, თან არა. ცხადია, მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ ათამაშოს, მაგრამ სხვებზე ნაკლები რითი ვარ?!"

ლიპის პასუხი საპირისპიროს მეტყველებს: „დავიდსი ჩინებული ფეხბურთელია. იგი „იუვენტუსისთვის" ერთობ საჭირო და შეუცვლელია და ვერ გამიგია, რაში სჭირდება ასეთი კომენტარები. გაოცებული ვარ მისი ქმედებით. როდესაც დისკვალიფიკაცია მოუხსნეს, მაშინვე ძირითადში დავაბრუნე. გეთანხმებით, ტაქტიკას ხშირად ვცვლი და შესაძლოა ამიტომაც ვერ ხვდება 11 ფეხბურთელში, მაგრამ მისთვის ხელი არასოდეს მიკვრია".

მწვრთნელს ეთანხმება „ბებერი ქალბატონის" ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგაც: „დავიდსი არც პირველია და არც უკანასკნელი. ასეთი რამ ჩვენი კლუბის ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ ვითარება არ გამწვავებულა. ედგარის ნათქვამიც მშვიდად აღვიქვი. დარწმუნებული ვარ, მას უყვარს „იუვენტუსი".

აი, ასე „შეახურეს" ედგარ დავიდსი „იუვეს" ხელმძღვანელებმა. თუმც ლიპი 28 წლის ჰავბეკს დაჰპირებია, კვირას, „სან სიროზე", „მილანთან" უპრინციპულეს მატჩში სასტარტოში გათამაშებო, „მაესტროს" კი იტალიაში სიტყვის კაცად იცნობენ.

**გიორგი ვაშაძიძე**



მარჩელო ლიპი
„პიტბულმა" ჩააფიქრა

# ვან გაალის ბლოკნოტი კრუიფს თვალში მოხვდა



ჩვეულებრივი ლუის ვან გაალი: ფურცლებით და მინერალური წყლით

**მას შემდეგ**, რაც ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმა სამწვრთნელო საქმე მიატოვა, ძირითადად მწარ-მწარე კომენტარებით გვახსენებს თავს.

ცხადია, „მფრინავ ჰოლანდიელს" გული დასწყდა, „ნარინჯისფერები" მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ გავიდნენ და ისე როგორ იქნებოდა, ნაკრების წარუმატებლობაზე რამე არ ეთქვა. ჰოდა, აგერ ერთ-ერთი ჰოლანდიური გაზეთისთვის ინტერვიუც მიუცია.

იოჰან კრუიფმა იერიში პირდაპირ ლუის ვან გაალზე მიიტანა: „როცა ფეხბურთელი ვიყავი, რაღაც არ მახსოვს, რომ მწვრთნელს ბლოკნოტი სჭეროდა და რაღაცეები მოენიშნა. არც მე დამჭირვებია მწვრთნელობისას ბლოკნოტი. დღეს კი რას ვხედავთ? თითქმის ყველა სპეციალისტი ქაღალდებს დაათრევს. ხშირად მიჩნდება კითხვა: კი მაგრამ, რას წერენ იქ? ჩემი აზრით, თითოეულმა მწვრთნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს, რა შეუძლია ამა თუ იმ ფეხბურთელს. თუ რომელიმე მოთამაშე შეცდომას დაუშვებს, უნდა მიუთითოს. არ მესმის, რა საჭიროა ამის ჩაწერა. თავი იმიტომ აბიათ მხრებზე, რომ ყველაფერი იქ ჩაიწერონ".

ჰოლანდიელმა ისიც დაამატა, რომ თანამედროვე მწვრთნელთა უმეტესობა გუნდზე მეტად საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს. მანვე გაიხსენა, თუ როგორ კარგად იყენებდა კრუიფისდროინდელი ნაკრები ფლანგებს, რაც დღეს ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს ასე აკლია: „სწორედ იმის გამო იყო ჩვენი გუნდი ყოველთვის უძლიერესთა შორის, რომ ფლანგებს მაქსიმალურად ვიყენებდით. დღეს ამას ყურადღებას აღარ აქცევენ. მთლიანობაში კი სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ ახალმა თაობამ ჰოლანდიური ფეხბურთის საუკეთესო ტრადიციები მიივიწყა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბრძოლისწინა ამხანაგობა
## მსოფლიოზე წამსვლელთაგან არავინ გვიკადრა

ჯერ ადრეა — მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნამდე 175 დღეა დარჩენილი, თუმცა ყველა მონაწილე გუნდის თავკაცობა დიდ გაწამაწიაშია: აქეთ სასტუმრო და სავარჯიშო კომპლექსია შესარჩევი, იქით კი საწვრთნელი მატჩებისთვის სპარინგ-პარტნიორები მოსაძებნი. ეს მეორე საკითხი შედარებით იოლად გვარდება, აი, აზიაში დაბანაკებასთან დაკავშირებით კი უკვე პრობლემები იქმნება — სენეგალელებმა აღმოაჩინეს, რომ სეულში, სადაც გახსნის მატჩში ფრანგებს უნდა შეხვდნენ, ყველა მეტ-ნაკლებად ღირსეული სასტუმრო კარგა ხნის დაჯავშნულია.

რაც შეეხება ფინალისტთა ამხანაგური მატჩების განრიგს, ის ჯერჯერობით არასრულია, თუმცა მკითხველს ალბათ მაინც დააინტერესებს, თუ ვინ ვისთან აპირებს გავარჯიშებას. ოფიციალურად ფიფაში ჯერ მხოლოდ ამ შეხვედრებზე აქვთ მიღებული შეტყობინება

8 იანვარი
ეგვიპტე – **ნიგერია**
12 იანვარი
კოტ დივუარი – **ნიგერია**
ზიმბაბვე – **სამხ. აფრიკა**
13 იანვარი
**ეკვადორი** – **კოსტა რიკა**
15 იანვარი
**სამხ. აფრიკა** – ანგოლა
16 იანვარი
**კოსტა რიკა** – **კამერუნი**
13 თებერვალი
**საფრანგეთი** – რუმინეთი
საბერძნეთი – **შვედეთი**
**ირლანდია** – **რუსეთი**
ისრაელი – **გერმანია**
მაკედონია – **კორეა**
ჰოლანდია – **ინგლისი**
**ესპანეთი** – **პორტუგალია**
7 მარტი
კანადა – **ეკვადორი**
14 მარტი
**კოსტა რიკა** – **დანია**
24 მარტი
**აშშ** – **ეკვადორი**
27 მარტი
**ინგლისი** – **იტალია**
ესტონეთი – **რუსეთი**
**საფრანგეთი** – შოტლანდია
**გერმანია** – **აშშ**
საბერძნეთი – **ბელგია**
**ირლანდია** – **დანია**
ჰოლანდია – **ესპანეთი**
**შვედეთი** – შვეიცარია
11 აპრილი
**კოსტა რიკა** – **ეკვადორი**
17 აპრილი
**ბელგია** – სლოვაკეთი
**დანია** – ისრაელი
**ინგლისი** – **პარაგვაი**
**საფრანგეთი** – **რუსეთი**
**გერმანია** – **არგენტინა**
**იტალია** – ავსტრალია
**იაპონია** – **კოსტა რიკა**
ჩრდ. ირლანდია – **ესპანეთი**
ნორვეგია – **შვედეთი**
17 მაისი
**ირლანდია** – **ნიგერია**
18 მაისი
**საფრანგეთი** – **ბელგია**
**გერმანია** – ავსტრია
26 მაისი
**კორეა** – **საფრანგეთი**

შენიშვნა: მუქად გამოყოფილია მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდები

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ქინქლაძე უკვე თვეზე მეტია ინგლისური „დერბის“ ძირითადში ვერ ხვდება. კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელი ჯიმ სმიტი, მისსავე თანაშემწე კოლინ ტოდით შეცვალეს და ქართველი ნახევარმცველის საქმეებიც ამის შემდეგ გაუკუღმართდა. გიო ქინქლაძემ ამასწინანდელ ინტერვიუში ისიც კი გვითხრა, ტოდისთან მაშინაც კი ცუდი ურთიერთობა მქონდა, როცა ის მწვრთნელის თანაშემწე იყოო. ქართველი „დერბიდან“ წასვლაზე თავად ტოდთან საუბარსაც კი აპირებდა, მაგრამ მწვრთნელი ქინქლაძისგან თავს შორს იჭერდა. გიორგი გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად კი ვარჯიშობდა, მაგრამ პრემიერლიგის თამაშებისთვის განაცხადშიც ვერ ხვდებოდა.

ხუთი ტური ასე გრძელდებოდა. გიოს, მისივე თქმით, ნორმალურ სპორტულ ფორმაში რომ იყო, „დერბის“ ახალი მწვრთნელი მაინც არ ენდობოდა. ჩვენებურმაც, ტოდს ძალა აჩვენა და...

# დერბიში დათბა

## ქინქლაძეს ქინქლაძე მოენატრა


გიორგი ქინქლაძეს ძირითადში დაბრუნების იმედი მიეცა

**— „მერანის" დამრიგებელი ოთარ გაბელიაა. მეკარისთვის ბევრს ნიშნავს, რომ მისი გუნდის მთავარი მწვრთნელი ყოფილი მეკარეა, თანაც სახელიანი?**

— ეს მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს. სახელს რომ თავი გავანებოთ, აქ სხვა ფაქტორიცაა. ოთარ გაბელიამ მეკარის თამაშის ყველა ნიუანსი იცის. შეიძლება კონკრეტულ ეპიზოდში ეფექტურად ითამაშო და გულშემატკივარს ათქმევინო, მატჩი კარგად ჩაატარაო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყოს. ისიც შეიძლება, თავი ვერაფრით მოაწონო ქომაგს, მაგრამ შეხვედრა მაინც კარგად ჩაატარა — ოთარ გაბელია კი ყველაფერ ამას ძალიან კარგად ხვდება, მას ვერ მოატყუებ.



რევაზ ნაჭყეპიას „მერანი" ბევრჯერ გადაურჩენია

**დავით თაგართქილაძე**

# ლოკომოტივი ამღების მიმცემი არ არის
## ცალმხარა დინამო მძებს



გიორგი ლომაია (№1) „ლოკომოტივის" კარის დატოვებას არ აპირებს

**ათგზის** ჩემპიონმა „დინამომ" 7 ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. კიდევ რამდენიმე მოთამაშის ბედი უცხოურ შეკრებებზე გაირკვევაო — თქვეს კლუბის თავკაცებმა. ცხადია, დანაკლისს ანაზღაურება უნდა და „დინამოს" ლოკომოტიველი გიორგი ლომაიას გადაბირება განუზრახავს.

ლომაია რკინიგზელთა უცვლელი მეკარეა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი. რა თქმა უნდა, კლუბის თავკაცები მას იოლად ვერ შეელევიან. „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტის, ტარიელ ღვაბერიძის განცხადებით, ლომაიას შესახებ მათ ჯერ არავინ დალაპარაკებია. ხელმძღვანელთა დაუკითხავად კი მეკარეს ვერავინ წაიყვანს და მისი გასხვისება აზრადაც არ მოგვსვლიაო.

„ლოკომოტივთან" ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, ეს წუთია, გუნდის ვარჯიშიდან დავბრუნდი. ჩემთვის სხვა კლუბში გადასვლის შესახებ კონკრეტულად არავის მოუმართავს. ასე რომ, ისევ რკინიგზელი ვარ" — ეს გვითხრა თავად გიორგიმ, გუშინ ტელეფონით რომ შევეხმიანეთ.

გამორიცხული არაფერია და იქნებ ათგზის ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონს მოურიგდეს კიდეც, მაგრამ „დინამოსი" მაინც გაგვკვირვებია. გიორგი ლომაია წლობით მათი საკუთრება იყო. ხან სად გაანათხოვრეს და ხანაც სად. სათადარიგოთა სკამიც კარგა ხანს აჩეხინეს და როგორც მეორეხარისხოვანი მეკარე (მხოლოდ მათი აზრით), ისე დაუთმეს „ლოკომოტივს". ახლა ისევ უკან სურთ ლომაიას დაბრუნება?!

**გამუკა ძგანტალიანი**


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33


# ასპინძური ვაიმასპინძლური
## ფედერაცია მკაცრი ძიაა: სადღაა ფარძია...

**რეგიონული ლიგის** აღმოსავლეთ ზონას ერთი გუნდი მოაკლდა. ასპინძის „ვარძია" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა 1000 ლარით დააჯარიმა და ჩემპიონატიდან მოკვეთა. „ვარძიას" დანაშაული ადრეც ჰქონდა და ამის გამო საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მოედანზე ატარებდა. თუმც ასპინძელებმა ჭკუა ვერ ისწავლეს და მეთექვსმეტე ტურში „ლიახვთან" მატჩის 88-ე წუთზე მამუკა ჩილაძეს მთავარი მსაჯი გურამ ასკარ ოღლი შემოელახა. ფეხბურთელს მაყურებელიც დაეხმარა, თუმც მათი სამიზნე ჩილაძისგან განსხვავებით გვერდითი დემილი გოგოლაძე გამოდგა. მატჩი, ცხადია, ჩაიშალა. თბილისის ფეხბურთის ფედერაციამაც უმკაცრეს ზომებს მიმართა.

„ვარძიას" ყველა შედეგი დებულების თანახმად გაუქმდა, რადგან ასპინძელებს 50 პროცენტზე ნაკლები მატჩი ჰქონდათ ნათამაშევი.

**ძახა შალამბერიძე**


ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 4-5 დეკემბერი

# გაჭირდა უქართველებოდ

**H ჯგუფი**

ა...ოშვარი (უნგრეთი) — ავტოდორი (რუსეთი) 97:76

**სენტ პიოლტენი 66:88 სლოვანი**

სენტ პიოლტენი: ბრედლი (17), ჰაინრიხი (15), კარალიოვი (2), ორეხოვი (8), პეტრავიჩუსი (6), შპაისერი (2), შტრობლი (10), ვორენცი (6)

სლოვანი: კოვაჩი (6), ოსბოლტი (4), ტუღუში (23 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა), უდრიჰი (19), უგრეხელიძე (29 წუთი, 23 ქულა, 8 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ზაგორაცი (11), ჟაკელი (9), ჟუპანი (7)

გასული სეზონის ბოლოს ლიუბლიანის „სლოვანი" ფინანსურ თუ სხვა მიზეზთა გამო რვა კალათბურთელმა დატოვა. ორი ქართველის, ვლადიმერ ბოისასა და ნიკა ცქიტიშვილის გარდა სლოვენიის ბრინჯაოსმედალოსნებს ჩია ლიდერი, იაკა ლაკოვიჩიც გამოაკლდა, რომელიც ამჟამად კრკა-შია და ევროლიგაში „რეალის", „პანათინაიკოსისა" და მისთანათა დამარცხებას მარტოდმარტო ცდილობს. ასეთი დანაკლისი ბევრი კლუბისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, თუმცა „სლოვანი" ჯერჯერობით შეურყევლად დგას, მოთამაშეთა მიგრაცია პრობლემად არ ჰქცევია, რისი დასტურიც მისი კორაჩის თასზე ასპარეზობაა.

ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ლიუბლიანელებმა ქართული კალათბურთის ისტორიის ყველაზე შავი ფურცლის ავტორი, თბილისის „მაკაბის" სასტიკად შემარცხვენელი სარატოვის „ავტოდორი" დაამარცხეს, ორი დღის წინ კი ავსტრიას ესტუმრნენ და იქაურ „სენტ პიოლტენს" ქართველთა მეთაურობით მცირე საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს. საქართველოს ნაკრების ცენტრი დავით უგრეხელიძე ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე და მთავარი მექულე შეიქნა. მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა იგი სასტარტო ხუთეულში გაამწესა და არც შემცდარა. სწორედ ქართველმა კალათბურთელმა დაუდო სათავე სტუმართა ჩინებულ თამ... პირველ მეოთხედში.

...ოვანელებმა ძალები თავიდანვე ავსტრიელთა ფარის დასაპყრობად მიმართეს. ასეთ ძალად მათ ტანმაღალი უგრეხელიძე ეგულებოდათ, რომელმაც მოვალეობას შესაშურად გაართვა თავი. ქართველი სტუმართა ფარქვეშ ისე თავისუფლად მოძრაობდა, როგორც თევზი წყალში, მეტოქის დაცვა უძლური იყო მის წინააღმდეგ და უგრეხელიძემაც „სლოვანის" პირველი 7 ქულა თავის აქტივში ჩაიწერა. ცხადია, ლ...ებლიანელთა უკანა ხაზიც არ იყო უსაქმოდ, თუმცა თამაშის მე-5 წუთზე, როცა მოედანზე მეორე ქართველი გამოჩნდა, სტუმართა ეს რგოლი ერთიორად გამოცოცხლდა. კოტე ტუღუში სწრაფი პასებით უხვად ამარაგებდა მეფარეებს, იქ კი მხოლოდ სლოვენიელები ყოჩაღობდნენ.

მეორე ათწუთეული „სლოვანის" რვაქულიანი უპირატესობით განახლდა. სცენარი არ შეცვლილა, ბალკანელები უპირატესობას ფლობდნენ, სხვაობა კი 10 ქულას გადასცდა. ამ დროს სლოვენიელთა დამრიგებელმა ქართველები მოედნიდან გაიხმო, რაც ავსტრიელთა გამოცოცხლების საბაბი გახდა. მასპინძელთა ამერიკელმა ლეგიონერმა პიტერ შტრობლმა ფარქვეშ გაილაღა. მას კევინ ბრედლიმაც აუბა მხარი და ლიუბლიანელთა უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. სიტუაცია დაიძაბა და იმტაზე მოსული მასპინძლები პირველი ნახევრის დასასრულის მაუწყებელმა სირენამდა დააშოშმინა — 37:38.

გასახდელში ტომო მაჰორიჩმა თავის სამწყსოს გვარიანი ცეცხლი შეუნთო, და მოედანზე ქართველები დააბრუნა. „სლოვანმა" პიოლტენელთა შეჩერება ზონური პრესინგით განიზრახა, რამაც საუცხოო შედეგი გამოიღო. ავსტრიელებმა ვერ გაუძლეს ზეწოლას და როცა ბურთს ფლობდნენ, იგი გამუდმებით სლოვენიელთა იოლი ნადავლი ხდებოდა. სლოვანელებმა თამაშის სადავეები დაიბრუნეს, სამო უდრიჰმა სწრაფი გარღვევებით სტუმართა ფარი აიკლო, ხოლო უზუსტობის შემთხვევაში დამზღვევად ფარქვეშ უგრეხელიძე ეგულებოდა, რომელსაც როგორც ქულებში, მოხსნებშიც არ ჰყავდა ბადალი. ანგარიშმაც „სლოვანის" სასარგებლოდ იწყო ზრდა და ბოლო ათწუთეულის წინ 67:52 გახდა.

უკანასკნელი მეოთხედი ორიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა ანგარიშმა 20-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და თამაშმაც ინტერესი დაკარგა. დარჩენილ დროში კვლავ აქტიური იყო ქართველი ცენტრი, რომელმაც საბოლოოდ 23 ქულა მიითვალა, ტუღუშმა კი მოედანზე გატარებული 23 წუთის განმავლობაში ფარს ხუთჯერ შეუტია და მისმა ზუსტად შესრულებულმა ხუთივე ტყორცნამ საბოლოოდ 9 ქულა შეადგინა.

**ირაკლი ბერტაია**

**A ჯგუფი**

ფუენლაბრადა (ესპანეთი) — ბაიერი (გერმანია) 93:71, მონსი (ბელგია) — შალონი (საფრანგეთი) 68:67

**C ჯგუფი**

ოვარენზე (პორტუგალია) — მარუსი (საბერძნეთი) 81:86, დიჟონი (საფრანგეთი) — ფორუმი (ესპანეთი) 85:81

**E ჯგუფი**

პაოკ (საბერძნეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 63:82, მაკაბი (ირონი, ისრაელი) — ბელ ლიმასოლი (კვიპროსი) 107:85

**G ჯგუფი**

პივოვარნა (სლოვენია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 96:88, ევრაზი (რუსეთი) — პროკომი (პოლონეთი) 81:87

**B ჯგუფი**

ნანსი (საფრანგეთი) — მიულერი (იტალია) 90:79, პორტუ (პორტუგალია) — ანტვერპენი (ბელგია) 91:80

**D ჯგუფი**

ბეშიქთაში (თურქეთი) — რასინგი (საფრანგეთი) 73:85, ჰემოფარმი (იუგოსლავია) — რაანანა (ისრაელი) 72:67

**F ჯგუფი**

ატომერომუ (უნგრეთი) — ოპავა (ჩეხეთი) 79:81, ბუიუქ კოლეჯი (თურქეთი) — ხიმიკი (რუსეთი) 69:90

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 4-5 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი) — ლუგანო (შვეიცარია) 101:71, პამესა (ესპანეთი) — ტელეკომი (პორტუგალია) 86:68, სტრასბ...რი (საფრანგეთი) — სნაიდერო (იტალია) 76:84

ტელეკომი (თურქეთი) 7 ქულა, სტრასბური 7, პამესა 7, სნაიდერო 6, ტელეკომი (პორტუგალია) 5, ლუგანო 4

**B ჯგუფი**

სიენა (იტალია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 74:71, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 83:82, დარუშაფაკა (თურქეთი) — ლე მანი (საფრანგეთი) 72:93

ესტუდიანტესი 7 ქულა, სიენა 7, ლე მანი 6, პანიონიოსი 6, ჰაპოელი 6, დარუშაფაკა 4

**C ჯგუფი**

უნიქსი (რუსეთი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 84:64, რიკო (ჰოლანდია) — ტელეკომი (გერმანია) 57:72, ანვილი (პოლონეთი) — არკადია (ავსტრია) 84:67

ტელეკომი 7 ქულა, ანვილი 7, ლიეტუვოს რიტასი 7, უნიქსი 6, რიკო 5, არკადია 4

**D ჯგუფი**

ირაკლისი (საბერძნეთი) — ცრვენა ზვეზდა... ფელეზნიკი (იუგოსლავია) 71:76, სპლიტი (ხორვატია) — კერავნოსი (კვიპროსი) 87:84, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — იგოკეა (ბოსნია) 62:58

სლოვაკოფარმა 7 ქულა, ირაკლისი 7, ჟელეზნიკი 7, სპლიტი 6, იგოკეა 5, კერავნოსი 4

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფინიქსელი სტივენ მარბერი (№ 3) თან შუაშია, თან არაფერ შუაშია: „ფინიქსმა" აწ ნიუჯერსელ ჯეისონ კიდს (მარჯვნივ) თავის დროზე იგი ამჯობინა

# გაუშვებ კაცს, მიიღებ ბოღმას

## ჯეისონს კიდური შურისძიებამ დაუგრძელა

5 დეკემბერი

**ლეიკერსი 98:94 დალასი**

ლეიკერსი: ონილი (46 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (19)

დალასი: ნოვიცკი (33 ქულა, 14 მოხსნა), გრიფინი (23), ნეში (13 ქულა, 13 პასი)

**ნიუ ჯერსი 106:87 ფინიქსი**

ნიუ ჯერსი: კიტლზი (24), მარტინი (22), ვან ჰორნი (19), მაკკალოფი (15)

ფინიქსი: მარიონი (22 ქულა, 12 მოხსნა), მარბერი (15)

**გოლდენ სტეიტი 93:87 ფილადელფია**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (22), ჯემისონი (19)

ფილადელფია: ჰარპრინგი (25), აივერსონი (23)

**დეტროიტი 95:91 სიეტლი**

დეტროიტი: ეტკინსი (23), სტეკჰაუზი (19 ქულა, 11 პასი)

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 15 მოხსნა, 12 პასი), ლუისი (21)

**ბოსტონი 95:80 დენვერი**

ბოსტონი: პირსი (35), უოლკერი (28)

დენვერი: ვან ექსელი 16), ჯონსონი (16)

**ატლანტა 112:120 სან ანტონიო**

ატლანტა: კუკოჩი (22), ტერი (22), აბდურრაჰიმი (18)

სან ანტონიო: სმიტი (29), დანკანი (21 ქულა, 15 მოხსნა), ბოუენი (21)

**ორლანდო 102:74 ჩიკაგო**

ორლანდო: მილერი (21), ჰანტერი (17)

ჩიკაგო: მერსერი (15)

„დალასის" 98:94 ძლევის შემდეგ „ლეიკერსის" ძონძროხა ცენტრ შაკილ ონილს მიკროფონ-დიქტოფონიანი ჟურნალისტები დაესივნენ და ზოგადად მატჩზე კომენტარი სთხოვეს. 160-კილოგრამიანმა გოლიათმაც პირი მოალო და ბევრი რამ თქვა. თან ხშირად მადლიერებით მოიხსენიებდა მარკ კუბანს. „დიდი მადლობა, მარკ, ასე გააგრძელე ლაყბობა, მეც ეგ მინდა" — ჟურნალისტთა პირით თუ კალმით შეუთვალა ონილმა ამ კაცს. ლამის დაგვავიწყდა გვეთქვა — მილიონერი მარკ კუბანი „დალას მავერიკსის" მფლობელი და ამ გუნდის ყველაზე თავგადაკლული ქომაგია. „ლეიკერსთან" შეხვედრამდე ემოციამოძალებულმა მილიონერმა ონილზე თქვა, მაგ ნახევარ მოთამაშეს (?!) როგორ აღმერთებთ, ფარიდან სამი მეტრის მოშორებით უსუსური ბალღივითაა, ნებისმიერი სკოლის მოთამაშეზე უარესი. ეს თავადაც იცის და ამიტომ საჯარიმოთა სროლისას თაღლითობს, ხაზს ფეხს აბიჯებს, რათა ფართან უფრო ახლოს იგრძნოს თავიო. კუბანის ფრაზებმა შაკი თავიდან გააცოფა და „დალასმა" მისგან 46 ქულა მიიღო კალათში. ერთგვარი შურისძიების შემდეგ ონილს სიბრაზემ გადაუარა და ანცობის ხასიათზეც დადგა.

ისე, როგორც ტირაჟიანი გაზეთები წერდნენ, ონილს დღეს-ხვალ განსაკუთრებით უნდა გამოედო თავი და ამ პროგნოზს რამდენიმე წინაპირობა ამაგრებდა. ბოლო ხანს შაკი უმცროსი თანაგუნდელის, კობი ბრაიანტის ჩრდილში მოექცა, ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედაც ის დაასახელეს. ონილი კი ის კაცი არ არის, პირველობა იოლად დათმოს. თან ამას წინათ, „სიეტლთან" შეხვედრაში, იგი მსაჯს აუშარდა და ნაადრევად დაასრულა თამაში ისე, რომ ათი ქულაც არ გაუკეთებია. ასეთი რამ მის ბოლო 145 თამაშში პირველად მოხდა. ჰოდა, გოლიათმაც ჯავრი „დალასზე" იყარა.

ონილმა თავიდანვე დაიწყო მეტოქის კალათის დაწიოკება, გამუდმებით პას ითხოვდა თანაგუნდელთაგან და ბურთსაც ხშირად იღებდა. თუ სროლას მოახერხებდა, ძირითადად აგდებდა (თამაშში 29 სროლიდან 18 ჩააგდო). დალასელები უფრო ხეირობდნენ მასზე დაჯარიმებით. ზოგჯერ ონილი რიგიანად ისვრის საჯარიმოებს, თუმც ეს იშვიათად ხდება. გუშინწინ მან 22 სროლიდან ათი გამოიყენა.

ნურც „დალასს" დავუკარგავთ შრომა. სტუმრებმა ბლომად ოფლი აღვრევინეს ჩემპიონებს. ტეხასელები უკანასკნელი მეოთხედის დასაწყისში ექვსი ქულითაც იგებდნენ, მაგრამ ბოლო მეოთხედის შუაწელს მიზანი აერიათ და ბოლო ექვს წუთში თამაშიდან ბურთი მხოლოდ დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ჩააგდეს, როცა ანგარიში 96:92 იყო (ადრიან გრიფინი). მათდა სამწუხაროდ, ამან ვერ უშველათ.

ჩვიდმეტი თამაშიდან თექვსმეტის მომგებ „ლეიკერსს" საქმეები ისე მისდის, უკეთესს ვერც ინატრებს. აი, ვიცეჩემპიონ „ფილადელფიას" კი კრიზისის ნიშნები დაეტყო. „სიქსერზმა" სან ფრანცისკოში, უფრო ზუსტად, მის გარეუბან ოკლენდში მობინადრე უხეირო „გოლდენ სტეიტ ვორიორზთან" სტუმრობისას წააგო, მეხუთედ ბოლო ექვს შეხვედრაში.

ფრისკოში ჩაფრენილი ფილადელფიელები თავიდანვე დაითარსნენ. სასტუმროდან დარბაზში მიმავალ მათ ავტობუსს ორმა მანქანამ დაარტყა. წესრიგის დამრღვევნი პოლიციამ ადგილზე დააკავა. მართალია, კალათბურთელები იოლად გადარჩნენ, მაგრამ დარბაზში მისულები მაინც დააშავა ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, მასპინძელთა მოთამაშემ ლარი ჰიუზმა. ეს ჯეელი ყოფილი ფილადელფიელია. ძველ კლუბს „ვორიორზში" ამ სამი წლის წინ გაუცვლია, რისი მიზეზიც ჰიუზის უნიჭობა კი არა, ნიჭი ყოფილა. იგი თურმე „სიქსერზის" ლიდერ ალენ აივერსონს პირველობაში ეცილებოდა და ხელს უშლიდა.

ნბა-ში ხშირია გაცვლები, ჰოდა, ძველ გუნდთან შეხვედრისას კალათბურთელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, ყოფილ პარტნიორებს თავიანთი სიძლიერე დაუმტკიცონ. ამ ოთხშაბათს ლარი ჰიუზთან ერთად ეს ჯეისონ კიდმაც გააკეთა, თან გაცილებით ხმაურიანად. კიდი ამ სეზონის დაწყებამდე „ფინიქსმა" „ნიუ ჯერსის" სტივენ მარბერში გაუცვალა, რამაც იგი გაანაწყენა. ახლა კიდი „ნიუ ჯერსის" ლიდერია და „ფინიქსთან" შეხვედრას, როგორც მშიერი მტაცებელი საკბილოს, ისე ელოდა. „მთელი ღამე არ მძინია. ჩემთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე თენდებოდა, როცა გადავწყვიტე, ეს თამაში ისე მომეგო, ქულა არ ჩამეგდო" — თქვა მან ნამატჩევს. კიდის შურისძიება მწარე გამოდგა. უძილო ღამის განმავლობაში ფინიქსელი „მზეების" წინააღმდეგ შედგენილი გეგმა თითქმის მთლიანად შეასრულა. მან ჯერ უარი თქვა ბურთის ჩაგდებაზე და თანაგუნდელთა პასებით მომარაგება იწყო. შედეგად „ნიუ ჯერსის" სასტარტო ხუთეულის დანარჩენმა ოთხმა წევრმა მინიმუმ 15 ქულა მოიხვეჭა. ხოლო როდესაც კიდმა პირველი ქულები გააკეთა, 11 პასი უკვე ჰქონდა აქტივში (თამაში 13 პასით და ექვსი ქულით დაასრულა). დაცვაშიც ჩინებულად ირჯებოდა. სტივენ მარბერი 15 ქულას დააჯერა. „ბიჭებს არას ვერჩი. ისინი დღემდე ჩემი მეგობრები არიან. მე მხოლოდ ბოსებისთვის მინდოდა მეჩვენებინა, რომ მწარედ შეცდნენ, როცა გამოწურულ ლიმონად ჩამთვალეს".

**ირაკლი ფირცხალავა**

რაგბი

# პარასკივის შავი ოთხშაბათი

**21 ნოემბერს** ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ერთა თასზე საქართველოს მეტოქე რუმინეთი თვიქნემში 134:0 გაანადგურა. მატჩის შემდეგ რუმინელთა თავკაცმა მირჩა პარასკივმა შეგირდები ლანძღა და თანამდებობიდანაც გადადგა.


მირჩა პარასკივი

ისე, პარასკივს ადრევე რომ ეზრუნა წასვლაზე, ეგებ, კრიტიკის ქარცეცხლშიც არ მოყოლილიყო, მაგრამ ბუქარესტში საქართველოსთან წაგების შემდეგ დაიქადნა, გაისად თასსაც დავიბრუნებთ და ბევრ ბობოლასაც გავამწარებთო. თუმცა „მუხის ფოთლებს“ (რუმინეთის ეროვნული ნაკრების მეტსახელია) მსგავსი არაფერი დასტყობია. რამდენიმე წაგებულ ტესტ-მატჩს რუმინეთმა სექტემბერში უელსის ნაკრებთან 9:81 მარცხიც მიაყოლა, ბოლოს კი თვიქნემში განადგურდა. ერთიც არის, ბევრი რუმინელი მიმომხილველი ამ მარცხს მოწინავე რუმინელი მორაგბეებისა და ფედერაციის უთანხმოებას აბრალებს. ლეგიონერები, რომლებიც საფრანგეთის კლუბებში გამოდიან, უარობდნენ ეროვნულ ნაკრებში თამაშს. უარის მიზეზი კი უფულობა იყო. ფულის გარდა ლეგიონერები თვით მირჩა პარასკივსაც ემართლებოდნენ, აქაოდა, მორაგბეებს შორის შუღლს თესავ და გუნდში არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიო, მაგრამ როდესაც რუმინეთის რაგბის კავშირი ამბოხებულ მორაგბეებს ერთა თასის მოგებისთვის სოლიდურ პრემიებს დაჰპირდა, მწვრთნელის ორპირობა არავის გახსენებია და ურჩი ლეგიონერებიც უმალ შეურიგდნენ პარასკივს.

თუმც ეს გარეძოებები სანუგეშო ვერ გამოდგა მწვრთნელისთვის. რუმინელები სწორედ მასზე არიან განრისხებული, რადგან მისი თავკაცობით „მუხის ფოთლებს“ საქმე უკუღმა წაუვიდათ. „გადავწყვიტე, წავიდე ნაკრებიდან. გუნდის უსახური თამაში მარტო ჩემი ბრალი არ არის, მორაგბეები არ არიან უცოდველნი. ახლა კავშირი იზრუნებს ახალ მწვრთნელზე, მაგრამ მე რეალურ კანდიდატურას ვერ ვხედავ“ — თქვა მირჩა პარასკივმა, როდესაც რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა დუმიტრიუ მიხალჩემ მისი თხოვნა გადადგომის თაობაზე დააკმაყოფილა.

47 წლის პარასკივი 1975-87 წლებში ნაკრების მორკინალი იყო. ამ ხნის მანძილზე მას 63 კეპი დაუგროვდა და კარიერის ზენიტში 1987 წელს ახალზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზეც ითამაშა.

„ნაკრების მომავალ მწვრთნელს ახალ წლამდე დავასახელებთ. ჯერ არ ვიცი, ვისზე შევაჩეროთ არჩევანი. რუმინეთში ძლიერი სპეციალისტების ნაკლებობაა. გამორიცხული არ არის, უცხოელი მწვრთნელი მოვიწვიოთ“ — ეს დუმიტრიუ მიხალჩეს სიტყვებია.

**ბაჩო სვანიძე**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# მოლოდინი შეილახა, არავინ გაილახა.

## საზოგადოება ხახამშრალი დარჩა: თვალი სისხლით ვერ გაისველა


სხვის მეძარეს ხელს ნუ ახლებ! მონრეალელი პატრის ბრისბუა ნიუჯერსელ ტერნერ სტივენსონისგან წაქცეულ თავის გოლკიპერ ჟოზე თეოდორს გამოესარჩლა

5 დეკემბერი

**ფლორიდა 2:0 კოლუმბუსი (1:0 0:0 1:0)**
1:0 ადამსი (19), 2:0 პუსელიუსი (56)

**მონრეალი 1:2 ნიუ ჯერსი (0:1 1:0 0:1)**
0:1 ელიაში (9), 1:1 რიბეირო (37), 1:2 რაფალსკი (41)

**დეტროიტი 1:4 კოლორადო (1:2 0:1 0:1)**
0:1 შეიდუკი (1), 0:2 ვრბატა (7), 1:2 ფიოდოროვი (9), 1:3 რაინპრეხტი (27), 1:4 ბლეიკი (57)

**ჩიკაგო 4:2 მინესოტა (2:1 2:1 0:0)**
1:0 ჟამნოვი (4), 2:0 დაზე (8), 2:1 სეკერაში (9), 3:1 ბაუსლი (27), 4:1 ნიულანდერი (29), 4:2 მიჩელი (39)

**დალასი 3:6 ოტავა (1:1 0:2 2:3)**
1:0 მოდანო (5), 1:1 უაიტი (18), 1:2 ჰავლატი (32), 1:3 ჰავლატი (39), 1:4 ბონკი (43), 1:5 ალფრედსონი (50), 2:5 მოდანო (54), 2:6 ფიშერი (59), 3:6 ვერბიკი (60)

**ედმონტონი 3:2 ანაჰაიმი (2:1 0:1 0:0 1:0)**
0:1 მაკინისი (7), 1:1 ფერგიუსონი (8), 2:1 კომრი (16), 2:2 ფრიზენი (32), 3:2 სტეიისი (62)

**ფინიქსი 3:0 სენტ ლუისი (2:0 0:0 1:0)**
1:0 მარკოვი (7), 2:0 ნაგი (11), 3:0 მარა (55)

დეტროიტის და კოლორადოს დაპირისპირება ბოლო წლებში ძალიან პრინციპული იყო. ადრეც დაძაბული და უშელავათო შეხვედრები 1997 წლის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. მაშინ კოლორადოელმა კლოდ ლემიემ დეტროიტელი კრის დრეიპერი ისე მიაჭყლიტა ბორტს, რომ ცხვირიდან სულ სისხლი ადინა. გულში წყენაჩადებული დეტროიტელები მას მერე მუდამ ცდილობდნენ კოლორადოელებთან ანგარიშის გასწორებას. ორი წლის წინანდელ მატჩში ჯგუფურ ჩხუბში მეკარეებიც ჩაებნენ. ამიტომაც გუშინწინდელი თამაშისას ტელეარხები ყველაზე სკანდალურ მომენტებსაც იხსენებდნენ, ინტერნეტით გამოკითხვაც კი მოეწყო, მეტოქეთა რომელი შეხლა-შემოხლა დაამახსოვრდ ყველაზე მეტად მაყურებელს. უმრავლესობამ მეკარეების — პატრიკ რუას და კრის ოსგუდის ხელჩართული ბრძოლა გაიხსენა. ერთი სიტყვით, ტელევიზია და პრესა ძალ-ღონეს არ აშურებდა, რათა ამ მატჩისგან მორიგი შოუ გამოეჩარხა, მაგრამ ძველ მოშუღართა შეხვედრამ მშვიდად ჩაიარა.

ნიუ ჯერსისთან წინა მატჩმა ცხადყო, რომ დეტროიტს კრიზისი ეწყება. სანამ ჩემპიონატის ლიდერის დაცვას და დომინიკ ჰაშეკს (ოთხიდან 2 გოლი მის სინდისზეა) ეძინათ, კოლორადომ ორი სწრაფი გოლი გაიტანა. სერგეი ფიოდოროვმა ერთი კი გაქვითა, მაგრამ სტუმრებმა უპირატესობა საიმედოდ დაიცვეს და შემდგომ გაზარდეს კიდეც. დეტროიტმა პირველად წააგო ზედიზედ ორჯერ 60 (!) მატჩის განმავლობაში.

**სამველ ლარიბიანი**

კრივი

# პრივჰალოსანი

**მსოფლიოს** უდავო ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა — მისი მტკიცებით 19 იანვარს დანიშნული ბრძოლა მძიმეწონოსნებს, მაიკ ტაისონსა და რეი მერსერს შორის არ უნდა გაიმართოს. საქმე მანჰეტენის ფედერალური სასამართლოს გასარჩევია. სარჩელის მიზეზი ასეთია: 35 წ[illegible]ის ტაისონმა 40 წლის მერსერთან ჩხუბში ტრავმა რომ მიიღოს, მისი და ლუ[illegible]ის დაპირისპირების გრანდიოზული პროექტი ჩაიშლება.

**დღეს** ამერიკაში ამბობენ, რომ მაიკ ტაისონისა და რეი მერსერის ბრძოლა ისეთივე ამაღელვებელი ამბავი იქნება, ჯორჯ ბუშისა და ელ გორის საპრეზიდენტო ბრძოლა რომ იყო. გეხსომებათ, ბუშმა გორს ხმათა უამრავჯერ გადათვლა-გადმოთვლის შემდეგ, მცირე უპირატესობით აჯობა და ამ ამბის ტაისონ — მერსერის ჩხუბთან შედარებაც მოკრივეთა თანაბარ ძალებზე მინიშნებას უნდა გულისხმობდეს. მართლაც, ხალხი ფიქრობს, რომ „რკინის მაიკს“ ნამდვილი გამოცდა ელის, რომლის ჩაბარება მას მსოფლიოს უდავო ჩემპიონის, ლენოქს ლუისის ღირსეულ კონკურენტად აქცევს.


მაიკ ტაისონი

ერთ დროს მერსერი მართლაც ანგარიშგასაწევი ძალა გახლდათ. ხუთნახევარი წლის წინ მან ზემოხსენებულ ლუისს დიდი ბრძოლა გაუმართა, ხოლო შემდეგ ზედიზედ ექვსი მოწინაამდეგე სცემა, ოღონდ ამ ექვსი კაცის ცემას ხუთი წელიწადი მოანდომა და კაცმა რომ თქვას, ფართო საზოგადოებას ნაცემთაგან ტიმ ვიზერსპუნი თუ გაუგია.

დღეს რეი მერსერი 40 წლისაა, ამბობენ, ამ ასაკისთვის საკმაოდ ახალგაზრდულად იბრძვისო და, ცხადია, გამოცდილებაც დიდი აქვს, მაგრამ რაც უნდა იყოს, 40 წელი 40 წელია.

ახლა ტაისონზე: მას მერე, რაც ევანდერ ჰოლიფილდთან დამარცხდა, „რკინის მაიკი“ მართლა ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრას ერიდება. გავიხსენოთ ვის ეჩხუბა: ფრენსის ბოთას, რომელიც სხვადასხვა რეიტინგებით ათეულებში კი ხვდებოდა, მაგრამ თვალსაჩინო არავინ არასდროს გაულახავს. შემდეგ იყვნენ ორლინ ნორისი, ჯულიუს ფრენსისი და ლუ სავარეზე. ისინი ამა თუ იმ ნიჭით დაჯილდოვებული სპორტსმენები არიან, მაგრამ გარკვეულ დონეზე მაღლა მდგომ მოკრივეებს მათი დამარცხება არ უჭირთ.

ამ ტრიოს მოჰყვა პოლონელი ანჯეი გოლოტა — უთუოდ ნიჭიერი, თავისი კლასის მოკრივეთა შორის უმჯობესი, მაგრამ ფსიქოლოგიურად სუსტი. შედეგიც შესაბამისი გამოვიდა.

ორიოდ თვის წინ კი ტაისონმა დანიელი ბრაიან ნილსენი დაჯაბნა და ეს ბრძოლა უფრო ტელევიზიით გაშუქებული ვარჯიში გახლდათ, ვიდრე ნამდვილი ბრძოლა.

ერთი სიტყვით, ტაისონის გუნდი აცხადებს, რომ ლუისთან შესაძლო, ნამდვილ საჩემპიონო დაპირისპირებამდე „რკინის მაიკს“ დიდი სპარინგი სჭირდება და საამისოდ საუკეთესო პარტნიორად მერსერი იგულეს.

მაგრამ, ნუთუ სხვა არავინ იყო? ლენს უითეკერი? მართალია, ბოლოს დამარცხდა, მაგრამ განა მსოფლიო კლასი არ აქვს? ანდა ოლეგ მასკაევი, რომელიც ათ საუკეთესოს შორის აღარ ტრიალებს, თუმცა ერთი ლაზათიანი მოქნევით ნებისმიერის დანოკაუტება ეხერხება. კლიჩკო? თუმცა, ეტყობა, კლიჩკოსთან ტაისონს არაფერი აქვს გარანტირებული.

საბოლოოდ ისე გამოდის, რომ რეი მერსერი მაინც დამარცხებისთვის არის განწირული და ამიტომაც შეურჩიეს „რკინის მაიკის“ სპარინგ-პარტნიორად, რაც, კაცმა რომ თქვას, გასაგებია: კრივი სახიფათო და დიდშემოსავლიანი საქმეა, ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ სპორტსმენს გარანტირებული, შემოსავლიანი ბრძოლები ერჩივნოს. ასე სახელსაც შეინარჩუნებს, ფულსაც და რეიტინგში ადგილსაც.

მაგრამ, ბევრი საკრივო მიმომხილველის აზრით, გულშემატკივრებს მაინც სხვა რამ სჭირდებათ.

**ოთხგზის** მსოფლიოს ჩემპიონი ჯონი ტაპია კვლავ ბრძოლისთვის გახლავთ მზად. მან ბოლოს ოთხი თვის წინ იჩხუბა. ახლა კი, მისი ვექილის მაი[illegible] მოზესის თქმით, დონ კინგთან იბრძოლებს სასამართლოში.

„ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა სასამართლოს დავუმტკიცოთ, რომ ის, რასაც თვეების მანძილზე ვიმეორებდით, მართალია. კონტრაქტი დაგვირღვიეს“ — თქვა მოზესმა.

34 წლის ტაპიამ დონ კინგთან კონტრაქტი გასულ გაზაფხულზე გააფორმა, მაგრამ მას მერე მხოლოდ ერთხელ გავიდა რინგზე — ბუმბულის წონაში WBC-ს ჩემპიონს სეზარ კასტროს მესამე რაუნდში ნოკაუტი აგემა.

მოზესი განაგრძობს: „ტაპიას ვარჯიში ერთი წუთით არ გაუწყვეტია და კვლავ საბრძოლველად არის მზად. ამიტომაც, რამდენჯერმე დავუკავშირდი დონ კინგის ხალხს, კონტრაქტით შეპირებული ბრძოლა დაგვინიშნეთო, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ვაცხადებ, თუ უახლოეს ხანს გარკვევით არაფერს გვეტყვიან, სასამართლოში ვიჩივლებთ“.

ტაპია პროფესიონალი მოკრივე 1988 წელს გახდა. მანამდე წარმატებით ჩხუბობდა მოყვარულებში, მაგრამ შემდეგ, ერთხანს, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ პრობლემებს ებრძოდა. კერძოდ, 1990 წლის ოქტომბერში კოკაინის ტესტზე ჩავარდა, თუმც მხარში მეუღლე ტერეზა ამოუდგა (მეუღლე იმავდროულად მისი მენეჯერიც გახლდათ) და ქმარი 1994 წელს WBO-ს ქვებუზის წონის ტიტულამდე მიიყვანა. მას შემდეგ, ტაპიამ ტიტული ცხრაჯერ დაიცვა, ბანტამის ანუ ქართულად როჭოს წონამდე მოსუქდა (მთელი ოთხი კილოგრამი მოიმატა), სადაც WBA-ს ტიტული მოიგო. ერთი ხნის შემდეგ ტაპიას ფეხი დაუცდა — ერთობ საეჭვო პირობებში დამარცხდა ტონი აიალასთან, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ისევ როჭოს წონაში ხორხე ელიესერ ხულიოს გვემით WBO-ს ქამარი შემოირტყა.

**ტუტა სიხარულიძე**

# აგონისტები და განათლების ღვინით სავსე ჭურჭელი

ერთი-ორად მიმზიდველია სპორტსმენი, რომელიც მხოლოდ კუნთებით კი არა, გონებრივი განვითარებითაც გამოირჩევა და პირიქით — ინტელექტუალურად ამაღლებული კაცი, რომელიც ფიზიკურადაც ძლიერების განსახიერებაა. მათ შორის გამორჩეულებზე, სპორტით გატაცებულ ნობელიანტებზე, ამას წინათ გაიმბეთ, მაგრამ არიან ათლეტები, რომლებიც ხელოვნებაშიც უმაღლეს მწვერვალებს იპყრობენ. სპორტის, მეცნიერებისა და ხელოვნების ასეთი წარმომადგენლები გონებრივად და ფიზიკურად იდეალურ განვითარებულ პიროვნებებად წარმოგვიდგებიან.



ანტიკური ლარნაკწერა

პიროვნების ასეთი განვითარებისკენ ლტოლვის ტრადიციებს უხსოვარ დროში გაუდგამს ფესვები. ანტიკურმა საბერძნეთმა შექმნა მრავალი მითი, რომლებიც ხოტბასასხამენ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. საკმარისია გავიხსენოთ აპოლონი, ოდისევსი და ანტიკური საბერძნეთის სხვა ღმერთები, ნახევრადღმერთები თუ ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომლებიც თავიანთი ფიზიკურ-გონებრივი განვითარებით სულაც არ იყვნენ ჩვეულებრივნი. ოღონდაც, ძველი ბერძნები ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის კულტს მხოლოდ მითებში კი არ თხზავდნენ, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც „ძერწავდნენ". მათ ფიზიკურად განუვითარებლობა ისევე სამარცხვინოდ მიაჩნდათ, როგორც გონებრივად ჩამორჩენილობა. ამიტომაც ძველი ბერძნები ილტვოდნენ მიზნისკენ — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული!" პლატონს „კოჭლად" მიაჩნდა ისიც, ვისაც ცურვა და რბენა არ შეეძლო და ისიც, ვინც წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ძველი ბერძნები იმასაც ამბობდნენ, თავდაპირველად უნდა შევქმნათ მტკიცე ჭურჭელი, მერე კი იგი განათლების ღვინით შევავსოთო. და ისინიც ქმნიდნენ და ავსებდნენ ამგვარ ჭურჭელს, რასაც „პალესტრებსა" და „გიმნასიებს" უწოდებდნენ. ამგვარი სასწავლებლების მნიშვნელობაზე ნათლად მიუთითებს პავსანია თავის წიგნში „ელადის აღწერილობანი", სადაც იგი წერს: „პანოპეი არ შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქად, რადგან იქ არ არის არც გიმნასია და არც თეატრი"...

ძველი ბერძნები დიდად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისგან პოეზიაში, მუსიკაში თუ სპორტში დაოსტატება-დახელოვნებას. ეს სფეროები იყო იმ ჯაჭვის რგოლები, რომელსაც ერთი მცნება — აგონისტიკა აერთიანებდა, რაც შეჯიბრებას ნიშნავდა, შეჯიბრებას — სპორტულსაც, მუსიკალურსაც, პოეტურსაც... ასეთი აგონისტიკა იყო ძველბერძნული ასპარეზობანი, მათ შორის პითიურიცა და ოლიმპიურიც, სადაც სპორტულ პაექრობასთან ერთად იმართებოდა შეჯიბრებები ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. და იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ორივე სარბიელზე გამოდიოდნენ, მათ შორის ფიზიკურად და გონებრივად განვითარებულნი კი ორივეგან ზეთის ხილისა და დაფნის გვირგვინებს იდგამდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, სახელგანთქმული პითაგორა.

***

**პითაგორას** სასკოლო მათემატიკიდან პითაგორას თეორემის ავტორობით ვიცნობთ. თუმცა, იგი იყო არა მხოლოდ დიდად სახელოვანი მათემატიკოსი, არამედ ცნობილი ფილოსოფოსიც, ბრწყინვალე მოჭიდავეც და მწვრთნელ-პედაგოგიც. მის ფილოსოფოსობასთან დაკავშირებით იმის გახსენებაც საკმარისია, რომ პითაგორას თავად ამ ტერმინის ავტორადაც მიიჩნევენ. პითაგორას უებრო ფალავნობაზე მეტყველებს ოლიმპიური ჩემპიონობაც. რაც შეეხება პითაგორას მწვრთნელ-პედაგოგობას, იგი ამ საქმეშიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მის მათემატიკურ სკოლაში ბევრნი დიდი წარმატებით ეუფლებოდნენ ამ მეცნიერულ მოძღვრებას, პითაგორას მწვრთნელობის შესაფასებლად კი მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოლიმპიურივე ჩემპიონი აღზარდა, თანაც ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი და სხვათაგან გამორჩეული, კროტონელი გოლიათი მილონი. იგი მთელი 20 წლის განმავლობაში ბეჭდაუდებელი ფალავანი იყო ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ექვსგზის ჩემპიონი გახდა, ამას გარდა, მან თექვსმეტჯერ გაიმარჯვა ისთმიურ თამაშებზე, ცხრაჯერ — ნემეურზე და ექვსჯერ — პანათენურ თამაშებზე.

იმას, რომ მილონი პითაგორას მოწაფე იყო, გვამცნობს ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი. ერთხელ, მეცადინეობისას მილონს თურმე ანაზდად შენობის საყრდენი სვეტი წაუქცევია. ჭერი და ქვის კედლები თავზე რომ არ დანგრეოდათ, მილონი თავად დამდგარა წაქცეული კოლონის ნაცვლად და მანამ არ გამოცლია, სანამ შენობა ყველამ არ დატოვა.

მილონის ფიზიკურ ძალაზე მრავალი ლეგენდარული თავგადასავალი მოგვითხრობს, მაგრამ იგი მხოლოდ კუნთებით კი არა, მხედართმთავრის ნიჭითაც გამოირჩეოდა, რის გამოც მას მშობლიური ქალაქის მთავარსარდლობა ანდეს და ისიც, ლომისტყაოსანი, ვეება კომბლით ხელში მარტოდმარტო ცვლიდა მთელ სამხედრო შენაერთს.

ფიზიკურად და გონებრივად ჰარმონიული განვითარების ეტალონები იყვნენ: მედიცინის მამა ჰიპოკრატე, ფილოსოფოსები პლატონი და სოკრატე, პოეტები სოფოკლე და ევრიპიდე, რომლებსაც მსოფლიოს კულტურის საგანძურიც გაუმდიდრებიათ და არაერთ სპორტულ ასპარეზობაშიც გაუმარჯვნიათ.

***

**მაგრამ** ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის კულტისთვის წერტილი ანტიკური ხანის გავლასთან ერთად არ დაუსვამთ. ამგვარი ადამიანები დღესაც გვხიბლავენ და აღგვაფრთოვანებენ. თანამედროვეთა შორისაც მრავლად არიან პიროვნებები, რომლებსაც სპორტი და კულტურა გაუთავისებიათ. და როგორ შეიძლება არ აღგვაფრთოვანოს, ვთქვათ, ავსტრალიელი ანა გაშის 1975-77 წლების თავგადასავალმა, რამაც მას ლამის იყო დედამიწის გარშემო იახტით მარტოდმარტო მოგზაური პირველი ქალის სახელი მოუტანა, რისი სტიმულიც მას ბამბუკის სალამურზე დაკვრამ მისცა.

ანა გაში ექვსი შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია იყო, პროფესიით — მედდა, მოგზაურობის დაწყებამდე კი ზღვაოსნობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა.

სამაგიეროდ, ბამბუკის სალამურზე უკრავდა მშვენივრად, იმდენად მშვენივრად, რომ ინგლისში მსოფლიო ფესტივალზე მიიწვიეს. მიიწვიეს, მაგრამ გასამგზავრებელი სახსრები არ აღმოაჩნდა, წასვლა და კონცერტზე გამოსვლა კი ძალიან უნდოდა. აი, მაშინ გაახსენდა თავისი იახტა „ილიმო" („წყლის ქოქოსის პალმა"), რომლით გამგზავრებაც ყველაზე იაფი დაუჯდებოდა.

ამ ასაკოვან და არაიახტსმენ ქალბატონს ბევრი აღარც უფიქრია, აფრები აუშვა და... ინგლისისკენ მიმავალ გზას მარტოდმარტო დაადგა. რაკიღა მანამდე გაშლილ ზღვაში არ გასულა, ნამდვილ აფროსნობაში გზადაგზა იწაფებოდა.

დიდი თავგადასავლების შემდეგ ინგლისის ნაპირებს მშვიდობიანად მიაღწია და ფესტივალსაც ჩაუსწრო. იქ მსმენელი ისე მოხიბლა თავისი ხელოვნებით, რომ ევროპაში ტურნე შესთავაზეს. მანაც მიიღო „გამოწვევა". საკონცერტო დარბაზებში მქუხარე ტაში დაიმსახურა. კონცერტები რომ მოილია, მშობლიურ ავსტრალიაში ისევ თავისი „წყლის ქოქოსის პალმით" დაბრუნდა, ოღონდ ტალღებს გაშინაურებული ისე გათამამდა, რომ უკან კი არა... პირდაპირ დედამიწის გარშემოვლით და 1977 წელს წრეც შეკრა. თითქმის მთელი მოგზაურობა მარტოდმარტომ განახორციელა. მხოლოდ ერთ პატარა მონაკვეთზე აიყვანა მგზავრი. ასე რომ არ მოქცეულიყო, ალბათ, ქალთაგან დედამიწის ირგვლივ პირველი ეული მოგზაურის პრიორიტეტიც მას დარჩებოდა.

***

**ხელოვნებასთან** და სპორტთან წილნაყარ პიროვნებათა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ორივე სფეროში უმაღლესი წარმატებებისთვისაც მიუღწევიათ. ერთი-ერთი ასეთი გახლდათ ფრანგი მიშლინ ოსტერმაიერი, ვინც ლონდონის (1948 წ.) ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი და გმირი გახდა. არადა, ოსტერმაიერს არათუ ამგვარ წარმატებას, საერთოდ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ და ბევრ სპეციალისტსა თუ ჟურნალისტს საერთოდ მისი ნაკრებში მოხვედრაც აოცებდა.

საქმე ის იყო, მიშლინ ოსტერმაიერი პიანისტი გახლდათ. იგი პარიზის კონსერვატორიის პირველი პრემიის ლაურეატი იყო. საფორტეპიანო კონცერტებს მართავდა რომში, ბუენოს აირესში, სტამბოლში, ფლორენციაში, ათენში, რიო-დე-ჟანეიროში... მრავლისმომცველი რეპერტუარი ჰქონდა. უკრავდა მოცარტსაც, გრიგსაც, რაველსაც... სიფრიფანა ქალი იყო, ლონდონის სარბიელზე კი სიმაღლეზე ხტომის გარდა ისეთ „მამაკაცურ" სახეობებში გამოდიოდა, როგორიც ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრაა. თანაც ბადროს ტყორცნაში მხოლოდ ოთხიოდე თვის ვარჯიშის სტაჟი ჰქონდა.

და მაინც, მიშლინ ოსტერმაიერმა ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაშიც და ბირთვის კვრაშიც, სიმაღლეზე ხტომაში კი ბრინჯაოს მედალს შესწვდა.

— ძალიან მეხმარება ფორტეპიანოზე დაკვრა. ეს მშვენიერი ვარჯიშია. რამდენიმესაათიანი დაკვრის მერე ბადრო უკეთ მიკავია ხელში. როცა ჩემი გამარჯვების აღსანიშნავად „მარსელიეზი" დაუკრეს, მაშინღა შევამჩნიე, რომ ჩვენი ჰიმნი ძალიან მხიარული ყოფილა, — თქვა გამარჯვების მერე ოსტერმაიერმა და ოლიმპიური თამაშების მერე დიდ საკონცერტო ტურნეზე გაემგზავრა.

***

**როცა** მიშლინ ოსტერმაიერის მსგავსად ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანებზე ვსაუბრობთ, აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ისინი, ვისაც ოლიმპიურ თამაშებზე მედლები მოუპოვებიათ როგორც სპორტულ სარბიელზე, ისე ხელოვანთა კონკურსებზე. ასეთი კონკურსები, სტოკჰოლმის 1912 წლის V ოლიმპიური თამაშებიდან ლონდონის 1948 წლის XIV ოლიმპიურ თამაშებამდე ეწყობოდა. ისინი ტარდებოდა არქიტექტურაში, ფერწერაში, მუსიკაში და ლიტერატურაში. ამგვარ კონკურსებში გამარჯვებულნიც ისეთივე მედლებით ჯილდოვდებოდნენ, როგორითაც სპორტულ სარბიელზე თავგამოჩენილნი.

როდესაც ანტიკური ოლიმპიური თამაშების ამგვარი ტრადიციის აღდგენა გადაწყდა, ამერიკელმა უაინენს უოლტერმა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს აცნობა, მიუხედავად იმისა, რომ სპორტულ სარბიელზე გამოსასვლელად ვემზადები, ხელოვანთა კონკურსშიც უთუოდ ჩავებმებიო, როგორც მოქანდაკეო.

უოლტერ უაინენსმა 1900 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობა მოიპოვა „გაქცეულ ირემზე" ორმაგ სროლაში.

მომდევნო, სენტ ლუისის თამაშებზე მისი სახეობა პროგრამაში არ იყო და უაინენსი „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა. 1908 წლის ლონდონის ოლიმპიურ პროგრამაში მისი სახეობა კვლავ შეიტანეს თამაშებზე და ამერიკელი მსროლელიც ისევ ჩემპიონი გახდა, მაგრამ კულტურულმა პროგრამამ ოთხი წლით გადაიწია და ორგზის ჩემპიონსაც სტოკჰოლმის თამაშებამდე მოუხდა ლოდინი. ასე იყო თუ ისე, ამერიკელი სტოკჰოლმში თავისი „ამერიკელი ყარიბით" წარსდგა და კვლავ ჩემპიონობა მოიპოვა.

უაინენს უოლტერი ერთადერთია, ვინც ოლიმპიური ჩემპიონობა სპორტშიც მოიპოვა და ხელოვნებაშიც. თუმცა, არის კიდევ ერთი, უნგრელი ალფრედ ჰაიოში, ვინც ორივე სარბიელზე გაიმარჯვა, მაგრამ ხელოვანთა კონკურსში მას ვერცხლის მედალი გადასცეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პირველი ადგილი არავისთვის მიუკუთვნებიათ.

ალფრედ ჰაიოში 1896 წლის ათენის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა 100 და 1200 მეტრზე (მაშინ ასეთი დისტანციაც არსებობდა) ცურვაში. ათენის თამაშებამდე ერთი წლით ადრე ჰაიოშმა ბუდაპეშტში რამდენიმე შეჯიბრებაზე გაიმარჯვა. მან უძლიერესის სახელი მოიპოვა ვენაში გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო ასპარეზობაზე, რომელსაც ორგანიზატორებმა ევროპის ჩემპიონატი უწოდეს. ათენის თამაშებზე ჰაიოში უნგრელთა ერთადერთი მოცურავე იყო. მას საბერძნეთის პრესამ „უნგრელი დელფინი" შეარქვა. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მან ყველაზე მოკლე და ყველაზე გრძელ დისტანციაზე გაიმარჯვაო.

28 წლის მერე ალფრედ ჰაიოში კვლავ ჩაება ოლიმპიურ თამაშებში, ამჯერად არქიტექტორთა კონკურსში, სადაც სტადიონის პროექტი წარადგინა და კვლავ გაიმარჯვა, თუმცა, როგორც ვთქვით, მას ვერცხლის მედალი გადაეცა.

ალფრედ ჰაიოში საერთოდ ძალზე მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება იყო. არც მისი სპორტული გატაცება შემოიფარგლებოდა მხოლოდ ცურვით და არც ინტელექტუალური განვითარება — ოდენ არქიტექტურით. ალფრედ ჰაიოში გატაცებული იყო ტანვარჯიშითაც, მძლეოსნობითაც და ფეხბურთითაც. როდესაც შეჯიბრებებზე აქტიური გამოსვლები შეწყვიტა, იგი უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნეს.

ალფრედ ჰაიოშმა ბუდაპეშტის უნივერსიტეტი დაამთავრა. იგი იყო უნგრეთის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი არქიტექტორი. აპროექტებდა საცხოვრებელ სახლებსაც, სკოლებსაც, საავადმყოფოებსაც და სპორტულ ბაზებსაც. ბუდაპეშტში მისი პროექტით აშენდა მთელს მსოფლიოში პირველი დახურული საცურაო აუზი.

„მე აქ მომეცა საშუალება ერთმანეთისთვის დამეკავშირებინა ჩემი პროფესია და გატაცება" — ამბობდა ჰაიოში.

ალფრედ ჰაიოში იყო აგრეთვე ბუდაპეშტის სახელგანთქმული „ნეპშტადიონის" მშენებლობის კონსულტანტი.

ყოველივე ამასთან, ჰაიოში იყო პირველი უნგრული სპორტული გაზეთის „შპორტჰირლაპის" რედაქტორი და გამომცემელი.

საინტერესოა, რომ ჰაიოში ამ კაცის ნამდვილი გვარი არ არის. იგი გუტმანი გახლდათ და ოლიმპიურ თამაშებზე ამ გვარით ჩაება. წყლიდან ჩემპიონად რომ ამოვიდა, ჟურნალისტებს რატომღაც უთხრა, ჰაიოში ვარო. ამიტომ მას ერთნი გუტმანად მოიხსენიებდნენ, მეორენი — ჰაიოშად. რაც გაუგებრობას ქმნიდა და მან საბოლოოდ დაიტოვა ფსევდონიმი, რითაც ბურუსი გაფანტა.

**ავთანდილ გურასაშვილი**





მიშლინ ოსტერმაიერი სპორტულ სარბიელზე და ფორტეპიანოსთან



ალფრედ ჰაიოში

ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი მოსკოვი (რუსეთი)

# ჩიბურდანიძემ მოჭრილად დაარტყა

## მაიამ ჭადრაკს ქართული ელფერი დაუტოვა



მაია ჩიბურდანიძე

**მოსკოვში** გარეთ ყინავს და ფრთხილად უნდა იარო, ყინულისგან გაპრიალებულ ქუჩებში არ დაეცე და რამე არ მოიტეხო. ამ დროს კი სიმპათიურ, კარგად გაღულღუნებულ ადგილას, კრემლის ყრილობათა სასახლის საბანკეტო დარბაზში, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება და დღითი დღე დარბაზში ხალხი მატულობს, ჭადრაკის დაფებთან კი თხელდება. კერძოდ, ახლა, ჩემპიონატს 8 ვაჟი და 4 ქალი შემორჩა. მანდილოსნებში უძლიერესის დადგენას ბევრი არ უკლია, ამ დღეებში გაირკვევა, ხოლო ვაჟთა 2001 წლის გეგმა ფინალისტების გამოვლენაა, რომლებიც იანვარში 8 პარტიისაგან შემდგარი მატჩით დაასრულებენ ფიდეს წლევანდელ გათამაშებას.

8 პარტიით ფიდე ერთგვარ პატივისცემას ამჟღავნებს ჩემპიონის გამოვლენის ძველი, კონსერვატიული სისტემისადმი, რომელიც მოიცავდა მომქანცავ შესარჩევ ტურნირებს და 24-პარტიან მტანჯველ ფინალს (კასპაროვმა და კარპოვმა ერთ ციკლში ორჯერ მეტიც კი ითამაშეს). ფიდეს პირველ ჩემპიონატზე, ლას ვეგასში, ფინალი 4 პარტიისგან შედგებოდა და უშუალოდ წინასწარი ეტაპების შემდეგ გაიმართა. მომდევნო ციკლში ვაჟთა ფინალი დანარჩენებს გამოეყო და დელიში კი არა, თეირანში ჩატარდა. პარტიათა ოდენობა — 6. ამჯერად კი, როგორც აღვნიშნეთ, 8 პარტია შედგება და ამაზე უკვე ითქმის, რომ ფინალური მატჩია. ვაჟთა მერვედფინალებმა თითქმის უსენსაციოდ ჩაიარა. გასაკვირი იყო მხოლოდ ალექსანდრ მოროზევიჩის გავარდნა, მაგრამ იგი ხომ წუთობით მზარდმა რუსლან პონომარიოვმა გააგდო, ამიტომ მომხდარზე ხმამაღალი საუბარი უადგილოა. მომდევნო წრეში გავიდნენ ვიშვანათან ანანდი (სასტარტო შოკიდან უკვე გამოვიდა), პიოტრ სვიდლერი (მას ყველაზე ძლიერი მეტოქე ჰყავდა), ვასილი ივანჩუკი, ალექსეი შიროვი და ბორის გელფანდი — ყველანი ჭადრაკის ასებად ითვლებიან. სამწუხაროდ, გელფანდის გზამ ზურაბ აზმაიფარაშვილზე გაიარა უაღრესად დრამატულ სიტუაციაში. კერძოდ, ასე:

კლასიკური ჭადრაკის პირველი ყაიმის შემდეგ მეორეში ქართველმა გაუძლო ებრაელის თეთრების შემოტევას და საქმე ტაიბრეიკებზე მიდგა. გელფანდმა ერთი მოიგო და მეორეში ყაიმისთვის გაემზადა, რადგან თეთრებით უნდა ეთამაშა, მაგრამ აზმაიფარაშვილმა უკვე 21-ე სვლისთვის ხარისხი დაინარჩუნა და 20 სვლაში საერთო ანგარიში გაათანაბრა. მე-5 პარტია ისევ გელფანდმა მოიგო და ამჯერად ქართველს მატჩის შემობრუნების ძალა არ ეყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ღირსეულად დამარცხდა, ისევე, როგორც ნინო ხურციძე ჩინელ ჩენ ჟუსთან ბრძოლაში. ამ ორმა სულაც 7 პარტია ითამაშა და შეხედეთ ანგარიშის დინამიკას, სადაც პირველად ჩინელის ქულები დავწერეთ: 0,5-0,5; 1-1; 1,5-1,5; 2-2; 3-2; 3-3; 4-3. ჩანს, რომ ერთი ჩამორჩენა ხურციძესაც გაუბათილებია და იმავეს გაკეთებამ მოუწია მაია ჩიბურდანიძეს. განსხვავება ისაა, რომ მაიამ ჯერ დეფიციტი აღმოფხვრა, მერე კი მატჩიც მოუგო მეორე ჩინელს, ოღონდ ჰოლანდიის მოქალაქე ჟაოცინ პენკს.

მსოფლიოს ქართველი ექსჩემპიონი ქალთა მეოთხედფინალის უდავო გმირი გახდა. პენკს მან დაუთმო კლასიკური ჭადრაკის პირველი პარტია, მეორეში კი ძველი დროის ჩიბურდანიძე ვიხილეთ. ლაზიერის გამბიტში მაიამ ერთი მოჭრილი დარტყმით (კუს შეწირვა) შავი მეფე უშუალოდ შამათის წინაშე დააყენა და სირცხვილის ასაცილებლად პენკმა გვარიანი მატერიალური საზღაური გასცა, მერე კი ულონობის გამო 22-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა.

ნატურალიზებულმა ჩინელმა ტაიბრეიკის პირველი პარტია მოიგო, მაგრამ ქართველმა დარტყმას დარტყმით უპასუხა და ანგარიში გათანაბრდა. მერე იყო ყაიმი და ბოლო, მე-6 ბრძოლა, რომელშიც ჩიბურდანიძე თეთრებით იყო. ენდშპილში მაია ზედმეტი პაიკით გადავიდა და მისი რეალიზებისთვის გამოიყენა კარგად შეთვისებული გაკვეთილები, რომლებსაც წლების წინ უტარებდნენ. ნახეთ დასკვნითი პოზიცია დიაგრამაზე და თუ მოახერხებთ, შავებს რამე ურჩიოთ, თქვენ ყოფილხართ...

ჩიბურდანიძე ნახევარფინალშია, იქ სადაც სიე ჟუნის არყოფნაშიც ჩინელები ჭარბობენ. ჟუს გარდა იუჰუა სუმ გაადო რუმინელი კრისტინა ადელა ფოიშორი, ბოლო ადგილი რჩეულ ოთხეულში კი ეკუთვნის რუს ალექსანდრა კოსტენიუკს, რომელმაც ევროპის ჩემპიონ ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიეს მოუგო. სამაგიეროდ, ვაჟთა მეოთხედფინალშია ამ სკრიპჩენკოს ფრანგი მეუღლე ჟოელ ლოტიე და 8 რჩეულ ვაჟკაცში ვერ მოხვდა უძლიერესი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, ვისი პრინციპული მატჩი ალექსეი შიროვთან მერვედფინალის უმთავრესი მოვლენა გახლდათ.

ორივე მოჭადრაკე ელეგანტური ჭადრაკის მიმდევარია და არც მოსკოვში უღალატეს ჩვეულ სტილს. ყველაფერი მე-5 ბლიცში (ანუ მე-7 პარტიაში) გადაწყდა, რომელშიც შიროვმა შავებით რუსული პარტია უკეთ გამოიყენა და ყველაფერი 53 სვლაში დაამთავრა.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

მერვედფინალი

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ალექსეი დრეევი (რუსეთი) 1,5-0,5; პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) — მაიკლ ადამსი (დიდი ბრიტანეთი) 3,5-2,5; რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 2,5-1,5; ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — ძიანგჩუან იე (ჩინეთი) 1,5-0,5; ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი) — პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია) 3-1; ევგენი ბარეევი (რუსეთი) — იან ელვესტი (ესტონეთი) 2-0; ბორის გელფანდი (ისრაელი) — ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) 3,5-2,5; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 4-3

**ქალები**

მეოთხედფინალი

ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) — ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიე (მოლდოვა) 1,5-0,5; მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — ჟაოცინ პენკი (ჰოლანდია) 3,5-2,5; ჩენ ჟუ (ჩინეთი) — ნინო ხურციძე (საქართველო) 4-3; იუჰუა სუ (ჩინეთი) — კრისტინა ადელა ფოიშორი (რუმინეთი) 4-2

ბოტვინიკის მემორიალი მოსკოვი (რუსეთი)

# სანახაობა იქნება!

**მოსკოვის** სვეტებიან დარბაზში „კაკა შოუს" კლასიკური ნაწილი დასრულდა. 4 პარტია — 4 ყაიმი. ესაა შედეგი, რომელიც სულაც არ ეხატება გულზე მაყურებელს, მით უფრო, რომ ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ მეორე პარტიაში შედგა.

უმაღლესი დონის საჭადრაკო ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა დებიუტმა შეიძინა. პრესკონფერენციაზე გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი ერთხმად ამბობდნენ, დღევანდელ უმაღლესი დონის ჭადრაკში საკმარისია, თეთრებმა უმცირესი შეცდომა დაუშვან და სადებიუტო უპირატესობის შანსი იკარგება, რაც თითქმის იმის ტოლფასია, რომ პარტიას ვერ მოიგებო. კრამნიკმა კიდევ თქვა, დღეს ჩემპიონი მე ვარ, ამიტომ ყაიმი ჩემთვის ოდნავ უკეთესი შედეგია, ვიდრე კასპაროვისთვისო. უკანასკნელი არ დაეთანხმა.

„მე ვფიქრობ — აღნიშნა კასპაროვმა — ლონდონის მატჩის შემდეგ ჩვენს ორთაბრძოლაში მე ვლიდერობ. კრამნიკთან არც ერთ პარტიაში, ბოტვინიკის მემორიალის მეორე პარტიის გარდა, უარესი პოზიცია არ მქონია, გავიმარჯვე ასტანაში და ვიკ აან ზეეშიც მოგებასთან ახლოს ვიყავი. ახლა კრამნიკი იძულებულია, ცვალოს დებიუტები, რისი კეთებაც ლონდონში არ უწევდა".

მართლაც, კრამნიკმა მე-4 პარტია არაორდინალურად — ესპანური დაცვით დაიწყო. ყველა ელოდა დისკუსიას „ბერლინის კედლის" ირგვლივ, მაგრამ ჩემპიონმა მოულოდნელად ღია თამაში ამჯობინა და მე-17 სვლამდე ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც შარშან ანხელისმა პარტიაში. უცნობი ინდოელი და ესპანელი ამით ისტორიაში შევიდნენ, ხოლო გრანდებს მეტი არც არაფერი გაუკეთებიათ — ყაიმი მე-19 სვლაზე გააფორმეს.

ორივე მოჭადრაკე შეწუხებულია იმით, რომ მატჩის სანახაობრივი მხარე მოიკოჭლებს. ისინი პირობას დებენ, სწრაფ და ბლიცპარტიებში მოგება-წაგებებს ბლომად გიჩვენებთო.

**დავით გულუა**




კასპაროვი და კრამნიკი ახჭარებას აპირებენ



# საქმეს ცუდი პირი უჩანს საქართველოს აქვს შანსი, საქართველოს არა აქვს ფული

**ერთი თვეა** დარჩენილი ვაჟ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე. ასპარეზობაში, ცხადია, საქართველოს ნაკრებიც ჩაებმება და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ჩვენებს ჯგუფიდან გასვლის ჩინებული შანსიც აქვთ, მაგრამ...

თავიდათავი ჩვენი უფულო-უსითბო ყოფაა. ექვსმატჩიან ტურნირში საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეები ავსტრიელი, ფინელი და ჰოლანდიელი ხელბურთელები იქნებიან. შეჯიბრი, ცხადია, მისვლა-მოსვლის წესით, ანუ ორ წრედ უნდა გაიმართოს. ასე რომ, თბილისის სპორტის სასახლეში 13, 16 და 27 იანვარს სამი მატჩია დაგეგმილი. უმთავრეს სიძნელესაც აქ ვაწყდებით — ასეთი უზარმაზარი ნაგებობის გათბობა როგორი საქმეა.

სწორედ სადღეისო პრობლემებს — ნაკრების დაფინანსებასა და თბილისში სტუმრების მიღება-არმიღებას მიეძღვნა გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული საგანგებო პრესკონფერენცია. მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები — ლერი ხაბელოვი და მერაბ მეტრეველი, ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ცერცვაძე და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე.

შეხვედრა დოლიძის ინფორმაციით დაიწყო. მან მიმოიხილა ნაკრების მზადების გეგმა და, რა თქმა უნდა, მთავარ ხელისშემშლელ პრობლემებზეც ილაპარაკა. იმედისმომცემი იყო ცერცვაძის განცხადება, თუ მეტოქეებს თბილისში დავუხვდებით, ჯგუფიდან გასვლის 80-პროცენტიანი შანსი გვაქვსო. რასაკვირველია, საერთო აზრია, რომ სპორტის სასახლე როგორმე უნდა გავათბოთ და მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებთა დონეზე გასვლის საშუალება არ დავკარგოთ, რადგან ამხელა შანსი უცებ ნულს გაუტოლდება თუ, როგორც წინა ციკლში, საშინაო მატჩებს ამჯერადაც მეტოქეთა მოედანზე გავმართავთ.

ხაბელოვმა და მეტრეველმა დაწვრილებით ისაუბრეს უპირველეს, სამწუხაროდ, არა სპორტულ, არამედ ფინანსურ პრობლემებზე. გაისად, ზამთრის ოლიმპიადის წელს, უმაღლესი დონის ღონისძიებებში ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობისთვის ქვეყნის ბიუჯეტში სულ რაღაც მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ხელბურთელებს ამ თანხიდან ათ პროცენტს კი შეჰპირდა, მაგრამ სამ ქვეყანაში გუნდის გასამგზავრებლად და თბილისში სტუმართა მისაღებად კიდევ ერთი ამდენია საჭირო. გათბობის ხარჯებზე აღარაფერს ვამბობთ. ერთი სიტყვით, სპორტის დეპარტამენტი და ხელბურთის ასოციაცია ვერაფერს გახდებიან, თუ მათ სატკივარს სხვებიც, კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო და დედაქალაქის მერია გულთან ახლოს არ მიიტანენ. დრო ჯერ კიდევ არის, თუმცა გვეეჭვება, თანხა გამოინახოს.

**გია ახალაძე**

საქართველოს მე-12 ჩემპიონატი. ვაჟები

# ბოყოჩაძე დიდი ძალაა

**ეროვნული** პირველობის მეორე წრის გასრულებისთანავე, ორშაბათიდან, საქართველოს ნაკრების კანდიდატები სამსოფლიოჩემპიონატო მზადებას ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შეუდგებიან. გუშინ კი იქ მორიგი სამი მატჩი ჩატარდა. ყველაზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა „საუ-მამულისა" და „გლდანის" დაპირისპირება. გუშინდელ „სარბიელშიც" ვწერდით, რომ დებიუტანტი გლდანელები შესამჩნევად გაძლიერდნენ მათთან ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელის ალეკო ბოყოჩაძის გადასვლით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „გლდანის" თამაში სწორედ ამ მიზეზით გარკვეულად ერთფეროვანი გახდა, რადგან მთავარი შემტევი ძალა, ცხადია, ალეკოა და გუნდის თითქმის ყოველ მეორე იერიში მისი ტყორცნით მთავრდება.

თამაშის დასაწყისი „მამულის" უპირატესობით აღინიშნა — 3:1, 7:4. მიუხედავად იმისა, რომ წინა დღის დაძაბული მატჩის შემდეგ ბიჭებს აშკარად ეტყობოდათ დაღლა, მაინც საკმაო ხანს იყვნენ წინ, ბოყოჩაძეს საზრიანად იჭერდნენ და მხრის გაშლის საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა იგი თავისი მაღალი ტექნიკურ-ფიზიკური დონის წყალობით ხშირად აჩერხებდა, პერსონალური დაცვისთვის თავი დაეღწია და ძირითადად სწორედ მისი შედეგიანობის წყალობით იყო, რომ „გლდანმა" ტაიმის მიწურულს ჯერ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა — 11:11, სამი წუთის შემდეგ კი პირველად დაწინაურდა კიდეც — 13:12. მადაზე მოსული ახალბედები შესვენების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ანგარიშში სხვაობა ათ ბურთამდეც გაზარდეს — 31:21. „მამულმა" საფინალო სასტვენამდე მხოლოდ ჩამორჩენის განახევრება მოასწრო.

ბოყოჩაძემ 14 გოლი მიითვალა, ყველაზე აქტიური მამულელები კი თანაბრად გაისარჯნენ — გიორგი ზაქარიაშვილი (8), გიორგი წივწივაძე (7).

ტურის სხვა ორი მატჩიდან ჩემპიონატის ბომბარდირთა მაჩვენებლებს გამოვყოფთ. სნაიპერთა შორის ლიდერი ზვიად შათირიშვილი („ცერო") ამჯერად ცხრა გოლს დასჯერდა, მისმა უახლოესმა მდევარმა გიორგი ქობელაშვილმა („სტუ-შევარდენი") ექვსით მეტი გაიტანა. სადღეისო, ანუ ბოლო ტურის წინ ვითარება ასეთია: შათირიშვილი (92) კვლავ წინაა, ქობელაშვილი მას 11 ბურთით ჩამორჩება.



ალეკო ბოყოჩაძემ „გლდანს" მეორე მატჩი მოაგებინა

გია ახალაძის ფოტო

**სტუ-შევარდენი 46:24 თბილისი**

**გლდანი 31:26 საუ-მამული**

**მართვე 42:32 ცერო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 9 | 9 | 0 | 0 | 332:203 | 27 |
| საუ-მამული | 9 | 7 | 0 | 2 | 266:240 | 21 |
| თბილისი | 9 | 5 | 0 | 4 | 249:256 | 15 |
| მართვე | 9 | 3 | 0 | 6 | 266:279 | 9 |
| გლდანი | 9 | 3 | 0 | 6 | 211:263 | 9 |
| ცერო | 9 | 0 | 0 | 9 | 232:315 | 0 |

# აუ! ქციონი

აჰაიდა მაისურა! ლოს ანჯელესში, „ლეიკერსის“ და „დალასის“ შეხვედრის ერთ-ერთი შესვენების დროს სააუქციონო გიგანტი მაისურა გამოიტანეს. იგი „ლეიკერსის“ ყველა მოთამაშის ავტოგრაფით გახლდათ დამშვენებული. რომ გაიყიდება, ფულს ნიუ იორკის ცენტრის აღდგენის ფონდში გადარიცხავენ. თან, “ლეიკერსმა“ „დალასს“ 98:94 მოუგო.



# შემოსეთ ანძები ძაძებით

ზღვაოსანთა სამყაროში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა. გუშინ წყალუხვ, მაგრამ უსტუმართმოყვარეო ამაზონზე მოჰკლეს დიადი ზღვაოსანი, ახალზელანდიელი პიტერ ბლეიკი. ამ კაცს თანამედროვე აფროსნობაში ისეთივე სახელი ჰქონდა, როგორიც ფეხბურთში პელეს და კალათბურთში მაიკლ ჯორდანს. ინგლისის დედოფლისგან ბლეიკს რაინდობაც ჰქონდა ბოძებული. ითქვა, რომ ბლეიკს და მის რაზმს მეკობრეები დაესხნენ თავს. ზღვაოსანი 53 წლისა იყო, ხოლო ეს ფოტო 1995 წლის 10 იანვარსაა გადაღებული.




REUTERS ლოს ანჯელესიდან



# ბებრის ყვავილობა

გახსოვთ ჯონ მაკინროი? აი, გაიხსენეთ. ლონდონში, „ალბერტ ჰოლში“ „დელტა ტურის“ შემადგენელი ნაწილი, „ჰონდა ჩელენჯი“ გამართულა და ოდინდელ ვარსკვლავს ანრი ლეკონტთან უთამაშია.

# ნგრევა შენებისა

არა, ამ შენობას ბინ ლადენი არ დაჯახებია, მას ოლიმპიური განახლების ტალღა ეძგერა — ათენში 2004 წლის ზაფხულის თამაშებისთვის ემზადებიან და სარეკონსტრუქციოდ სასტუმროებს მიადგნენ. თქვენს წინაშეა „ჰილტონი“, რომელიც, სავარაუდოდ, 2002 წლის დეკემბერში ხელმეორედ დაიბადება.




REUTERS ათენიდან



# კუდზე კაცი და რა კაცი!

აწ ვაშინგტონელ მაიკლ ჯორდანს მუხლი წამოსტკივდა და სან ანტონიოში ვერ ითამაშა. სამაგიეროდ, თილისმას კუდზე დაქაჩა.




REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლენოქს ლუისი

აბა, მულტი-კრივში
მნახე, ვინა ვარ,
აბა, „ზღვის თერთმეტში“
(ფილმია) მნახე, ვინა ვარ,
აბა, ჯულია რობერტსის,
ჯორჯ კლუნის და მეტ
დეიმონის გვერდით
მნახე, ვინა ვარ,
აბა, პრეზენტაციაზე
მნახე, ვინა ვარ,
აბა, ცოლის გვერდზე
მნახე, ვინა ვარ...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge